გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 60 თეთრი

№100 (1126) 9 - 11 ოქტომბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„ნინო ბურჯანაძემ დიდი შეცდომები დაუშვა და თავად აგოს პასუხი“

წავიდა თუ არა პოლიტიკიდან და რატომ ემიჯნება ქართველ პოლიტიკოსებს თემურ შაშიაშვილი

ნიკა გვარამიას 2 წლის ხელფასი მილიონს აჭარბებს

რა ინფორმაციები ვრცელდება „რუსთავი 2“-ის კუღუარებიდან

„ოცნება“ ნარმანიას გაწირავს?!

რატომ ეცოდება საკრებულოს ოპოზიციას თბილისის მერი და ელის თუ არა მას იმპიჩმენტი

საქართველოში შიდსით 5250 ინფიცირებულია!

რატომ გაიზარდა დაავადებულთა რიცხვი, ვისთვისაა აუცილებელი აივტესტის ჩატარება და რა შემთხვევაში მკურნალობენ უფასოდ პაციენტებს

ვის დარჩება კაზინო „აჭარა“ და რატომ იყო ჩამოსული საქართველოში დავით იაკობაშვილი

რატომ გააუქმეს სამორინეში „ვიპ-ოთახი“ და ვინ ცდილობს „აჭარის“ ჩაძირვას

ბიზნესმენი თემურ უგულავა სკანდალში ეხვევა

რატომ არ აძლევს ქონებას და შეუმცირა ხარჯები აუტისტს შვილს „ჰოლიდეი ინის“ მეპატრონემ

საცხოვრებელი კომპლექსი „m² ნუცუბიძეზე“ დასრულდა

ბინების ჩაბარების პროცესი დაიწყო

ნიკა გვარამიას 2 წლის ხელფასი მილიონს აჭარბებს

რა ინფორმაციები ვრცელდება „რუსთავი 2“-ის კუღუარებიდან

ლაშა დვალი

ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს ნაციონალების სამზარეულოს, ყველამ იცის, რომ ნიკა გვარამია შესანიშნავი „პიარშჩიკია“. სხვათაშორის, 2007 წელს სწორედ ამის გამო წაიყვანეს პარლამენტიდან გენპროკურორის მოადგილედ, სადაც მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საზოგადოებასთან ურთიერთობა იყო. ისიც ფაქტია, რომ სწორედ ამ და სააკაშვილის კლანის ერთგულების ნიშნით დანიშნეს „რუსთავი-2“-ის გენდირექტორის პოსტზე, თორემ სად ტელევიზია და სად ამერიკამოვლილი ნადეპუტატარ, ნაპროკურორალ, ნამინისტრალი პოლიტიკოსი? ნიჭიერი და საკმაოდ გამოცდილი ნიკა გვარამია სწორედ იმ პოლიტიკური თამაშის მთავარი ფიგურაა, რომელსაც „ნაციონალები“ და „ოცნება“ მეოთხე წელია (ცოტა უფრო მეტიც) თამაშობენ და საკმაოდ კარგად ახერხებენ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას. ყოველ შემთხვევაში, უკრაინიდან მიღებული კულუარული ინფორმაციით, არხის ფაქტიური თუ ფიქტიური მეპატრონეები მისი მუშაობით ჯერჯერობით ფრიად კმაყოფილნი ყოფილან!

ალბათ ყველას გახსოვთ, „რუსთავი-2“-ის გენერალურმა დირექტორმა ხალხს რომ მიმართა, ხელისუფლება ტელეკომპანიას ხურავს და სანამ ამას გააკეთებს, მანამ ჩვენ დავხურავთ ხელისუფლებასო. მერე კი ბატონმა გვარამიამ მაყურებელს „წაშლილი სახით“ სთხოვა დახმარება — აქაოდა, ხელფასს ვერ ვიღებთ და იქნებ თითოეულმა თქვენგანმა, ჩვენმა მაყურებელმა ლარი გაიღოს და დაგვაფინანსოსო. არა, ჩვენ კი არა, თავისუფალი სიტყვა, პრესის თავისუფლებაო.არ მითხრათ ახლა, რომ ცუდი პოლიტტრიუკია? ნაციონალებსა და მათ პრეზიდენტს ყოველთვის შეეძლოთ ხალხის ემოციით თამაში — როცა ადამიანს უჭირს, ქართველები ხომ ყველაზე მეტად მიმტევებლები და სენტიმენტალურები ვხდებით. ნამდვილად ვერ გეტყვით, რამდენმა ადამიანმა გაიმეტა „რუსთავი-2“-ისთვის ერთი ან მეტი ლარი, მაგრამ ფაქტია — ბანკის ანგარიში ტელეკომპანიის ეკრანზე დღემდე ანთია.

მართალია, ბიძინა ივანიშვილის შეფასება, რომ საქართველო ერთი პატარა სოფელია, ყოველთვის მაღიზიანებდა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ვრწმუნდები, რომ მართლაც ასეა და ინფორმაციის მოპოვებაც ისევე იოლია, როგორც სოფლის „ბირჟაზე“... საკმარისია, მლიქვნელ-მედროვეებმა საფრთხის მოახლოება იგრძნონ და, როგორც გვარამიას ყოფილ კანტორაში ამბობენ, „პასტას და ფურცელს ვეღარ გააგდებინებ“. ჰოდა, შევეცადეთ, მიახლოებით მაინც გაგვერკვია, რამდენი აქვს ხელფასი ნიკა გვარამიას. შევეცადეთ და გავარკვიეთ კიდეც — აქვე შევნიშნავთ, რომ ეს არის თავად „რუსთავი 2“-დან გამოსული ვერსია.

კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, მაშინ, როცა ხელისუფლება ახალი შეცვლილი იყო ანუ 2013 წლის დასაწყისში ნიკა გვარამიას ხელფასი 12 000-დან 13 000 ლარამდე მერყეობდა. ზაფხულის სეზონი ყველაზე ხარჯიანია და ამბობდნენ, რომ ტელეკომპანიის მეპატრონეებმა დირექტორს შრომა დაუფასეს და ორი თვე (სავარაუდოდ, ივნისი-ივლისი) 25-25 000 ლარით დააჯილდოვეს. ხომ ხედავთ, მარტო „ოცნებას“ კი არ სცოდნია გარჯის პრემიით დაფასება?!

ყველაზე გასაოცარი კი გვარამიას შრომის ანაზღაურებაა საახალწლოდ, ანუ 2013 წლის დეკემბერში — თვის დასაწყისში „რუსთავი-2“-ის დირექტორმა 62 500 ლარი აიღო, იმავე თვის ბოლოს კი აღებულ თანხას 35 000 ლარი მიუმატა, ანუ ერთ თვეში თითქმის ასი ათასი ლარი გამოუვიდა, ალბათ, გაახსენდა, რომ ორი ახალი წელი, შობაა იანვარში, მერე ოჯახი უარეს შემთხვევაში ბაკურიანში, უკეთეს ვარიანტში ევროპის რომელიმე ზამთრის კურორტზე წასაყვანი და ამ ყველაფრისთვის თავმოყვარე კაცს ერთი ასი ათასი კი სჭირდება. გაგიკვირდებათ და, ბატონი ნიკა არც მომდევნო თვეებში უჩიოდა უფულობას — დაზუსტებით ვერ გვეუბნებიან, მაგრამ 2014 წელს მისი ჯამაგირი 24-დან 90 ათას ლარამდე მერყეობდა. 2014 წლის აგვისტოში კი მისი ხელფასი 80 000 ლარი გახლდათ.

რა თქმა უნდა, იმის გარკვევაც ვცადეთ, რა ხდება 2015 წელს, როცა ქვეყანა ფინანსურ კრიზისშია და ტელეკომპანიასაც გაჭირვების წელი უდგას. სხვათა შორის, ჯერ კიდევ აგვისტოში გაზეთმა „კვირის ქრონიკა“ გამოაქვეყნა სტატია სთაურით „ნიკა გვარამიას ხელფასი ნახევარ მილიონამდე გაიზარდა, „რუსთავი-2“-ის თანამშრომლებს კი ხელფასის შემცირება ემუქრება“. როგორც გავარკვიეთ, ეს ინფორმაცია ნაწილობრივ სიმართლეს შეეფერება, რადგან 2015 წლის იანვარში ნიკა გვარამიას ხელფასი 62 ათასი ლარი გახლდათ, მარტში — 53 ათასი, აპრილში – 45 000, მაისში – 87 600, ივნისში – 6 500, ივლისში – 16 600, აგვისტოში – 35 000 ლარი...

ეჰ, რას იზამ, ამ თბილისში ხომ არაფერი იმალება — ღატაკის ამბავიც იციან და მილიარდერისაც... ისე, ამ კონტექსტში, ალბათ, ყველაზე საინტერესო იყო „საქართველოს გზის“ ლიდერის რეპლიკა — როცა გვარამიამ საზოგადოებას დახმარებისთვის მიმართა, ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა — „რუსთავი-2“-ის მესვეურები ისევ ცდილობენ, ხალხი შეცდომაში შეიყვანონ.

„კონცერტების ჩასატარებელი თანხები აქვს ტელევიზიას და ხელფასების ფულს ხალხისგან ითხოვს?!“ — კითხულობს ქალბატონი სალომე და სავსებით სამართლიანადაც, თუმცა... პოლიტიკური თამაში გრძელდება და გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო ლამაზად შეფუთავს ტყუილს.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საზღვრისპირა რეგიონებში ვეტერანების დასახლებისთვის სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება იქმნება

ვეტერანთა კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო თემის პროექტის საბოლოო ვერსია ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე მოიწონეს, რომელიც პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გაიმართა. პრემიერის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კონკრეტული სამუშაოები პროექტის განხორციელების მიმართულებით, უახლოეს მომავალში დაიწყება.

პროექტი საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების შექმნას ითვალისწინებს, სადაც ვეტერანების დასახლება და დასაქმება იგეგმება.

„პირველი“

ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მოთხოვნისა და ქრთამის აღების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და ქრთამის აღების ფაქტზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი სოფელ მუხაესტატეში გია გოგიტიძე დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ გია გოგიტიძემ თურქეთის მოქალაქისაგან თხილის გადასამუშავებელი საამქროსათვის ფართის გამოყოფაში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით 20 000 ლარი მოითხოვა. გამგებლის წარმომადგენელმა წინასწარ აიღო ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის ნაწილი 4000 ლარი, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს. გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით 7 დან 11 წლამდე ითვალისწინებს). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ თაბუკაშვილის ქუჩაზე მომხდარ ინციდენტში მონაწილე ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მთაწმინდის მიმართულების მეოთხე ოცეულის თანამშრომლებმა, 1986 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნოდარ დ. ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე დააკავეს.გამოძიებით დადგინდა, რომ ნოდარ დ-ს თბილისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა გამოძიებით დაუდგენელ პირებთან, რასაც წინასწარი მონაცემებით, ორმხრივი სროლა მოჰყვა. სამართალდამცველებმა ნოდარ დ. შემთხვევის ადგილზევე დააკავეს და განაიარაღეს. ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ორმხრივი სროლის შედეგად არავინ დაშავებულა. ინციდენტში მონაწილე სხვა პირების გამოვლენისა და დაკავების მიზნით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ტარდება. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების და განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 19-108-ე მუხლით). გამოძიებას შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

მამულიჩას გათავისუფლების შემდეგ, გლდანის ციხეში ნარკოდანაშაულში ბრალდებული პატიმრები შიმშილობენ

ნარკოდანაშაულში ბრალდებული კახა მამულაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ, გლდანის ციხეში პატიმრები, დაახლოებით 20 დღეა შიმშილობენ და შემამსუბუქებელ გარემოებებს ითხოვენ. პატიმრების ახლობლების ინფორმაციით, ამ დროისთვის გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შიმშილობს ხუთი პატიმარი, რომლებიც ნარკოდანაშაულში არიან ბრალდებული: **„ისინი მოითხოვენ, თუკი კახა მამულაშვილს შეეხო შემამსუბუქებელი გარემოება, მათ მიმართაც გამოიყენოს პროკურატურამ იგივე ღონისძიება“.**

ამ ფაქტზე განცხადებას ავრცელებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინიტრო და გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოშიმშილე მსჯავრდებულებთან/ბრალდებულებთან დაკავშირებით განმარტავს, რომ **„ყველა მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია და მათ სათანადო სამედიცინო მომსახურება უტარდებათ. მოშიმშილე მსჯავრდებულები/ბრალდებულები სხვადასხვა მუხლების საფუძველზე იმყოფებიან პატიმრობაში და მათი პროტესტი კონკრეტული საქმეებიდან გამომდინარეობს. „მოშიმშილეების ნაწილი არ აღიარებს ბრალს, მოითხოვს სამართლიანი სასამართლოს ჩატარებას, ნაწილი — საქმის გადახედვას, ნაწილი კი პარლამენტის ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასთან შეხვედრას“.**

„ვერსიანიუსი“

წავიდა თუ არა პოლიტიკიდან და რატომ ემიჯნება ქართველ პოლიტიკოსებს თემურ შაშიაშვილი

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ნაციონალების დროს ყველაზე აქტიური ოპოზიციური გაერთიანება სახალხო კრება იყო, კრების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სახე კი „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი. ნინო ბურჯანაძესთან ერთად, შაშიაშვილი კარგა ხანს იბრძოდა, 2012 წლის არჩევნებშიც მისი მეგობრების სიაში ეწერებოდა და არა კონკურენტების, თუმცა მათი გზები მაინც გაიყო. ნინო ბურჯანაძემ ჯერ ქრისტიან-დემოკრატების დიდი ნაწილი შეიერთა, შემდეგ რამდენიმე პარტიასთან, მათ შორის, ნაციონალებთან ერთად, შუალედურ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. თუმცა შაშიაშვილის ძალა არც ამ 12-პარტიულ სიაშია და არც შუალედურ არჩევნებში მონაწილეობს. ისიც ცხადია, რომ მას არც არჩევნების მაჟორიტარული წესის გაუქმება სურს, რადგან, ალბათ, ფსონს, 2016 წლისთვის ქუთაისის მაჟორიტარობაზე დებს. თუმცა მისი ძველი აქტიურობიდან დღეს მხოლოდ მოგონებები დარჩა. სად არის და რას აპირებს თემურ შაშიაშვილი — „ვერსიას“ თეთრების ლიდერი ესაუბრება.

„ნინო ბურჯანაძემ დიდი შეცდომები დაუშვა და თავის გადაწყვეტილებებზეც თავად აგოს პასუხი“

— ბატონო თემურ, შუალედური არჩევნებია კარსმომდგარი, თქვენ კი პოზიციურად, არსად ჩანხართ — არც 12-პარტიულ ოპოზიციურ გაერთიანებაში და არც წინასაარჩევნო ხაზზე, რატომ?

— პირველ რიგში, საქართველოს მოსახლეობას ყველამ ბოდიში უნდა მოვუხადოთ იმის გამო, რა მდგომარეობაშიც ქვეყანა აღმოჩნდა. ყველაფერი პოლიტიკოსების გამო მოხდა. სამწუხაროა, რომ ბევრი განათლებული და კარგი კაცი იმით ტრაბახობს, პოლიტიკასთან არანაირი შეხება არ მაქვს და არც არჩევნებზე მივდივარო. ამდენი სიბინძურე, რაც დღეს ქართულ პოლიტიკაშია, არც ერთ სხვა სფეროში არ არის: ერთნი „ესენგე“-ში შესვლას ითხოვდნენ, თუ არ შევალთ, დავიღუპებითო და მერე ამბობდნენ, „ესენგე“-მ დაღუპა ქვეყანაო. ამბობდნენ, რკინიგზა უნდა გადავკეტოთო და რუსეთის წინააღმდეგ აქციებს აწყობდნენ, მერე ისევ რუსეთში გარბოდნენ და ბოდიშებს იხდიდნენ. ხოლო ის ხალხი, ვისაც შეცდომა არ მოსვლია, ამ ქვეყანაში პოლიტიკოსებად საერთოდ არ ითვლება. ამ დროს, მოდის ივანიშვილი და ამბობს, პოლიტიკოსი არ ვარო — შეიძლება, ყველაფერს მართავდე და პოლიტიკოსი არ იყო? სასაცილოა ეს ყველაფერი! თან მთელი პოლიტიკა ბიზნესად იქცა და ისიც მაოცებს, რამდენს უძლებს ეს ბიზნესი. ვიღაცას არჩევნებში მონაწილეობა აწყობს და ეს ბიზნესია, ვიღაცას არმონაწილეობა უფრო აწყობს და ესეც ბიზნესია. ახლა მითხარით, აი, ამ ვითარებაზე რა პოზიცია უნდა მქონდეს?! დღევანდელ და ყოფილ ხელისუფლებასაც მხოლოდ მორჩილები სჭირდებოდათ: ფეხქვეშ გაეგები, თანამდებობაზე ხარ, შენი პოზიცია გექნება — ნული ხდები. ვიდრე ქვეყანაში ასეთი ხელისუფლებაა, არც შუალედურ არჩევნებს აქვს აზრი და არც ძირითადს.

— ვინც შუალედურ არჩევნებში მონაწილეობს, მას მხოლოდ ბიზნესინტერესი აქვს, თუ ხელისუფლების საქმეს აკეთებს? დაახლოებით ასეთია თქვენი ერთ-ერთი განცხადების შინაარსი.

— ახლა, ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლების საქმეს მიზანმიმართულად აკეთებენ, მაგრამ ეს მათდაუნებურად, ასე გამოდის. ისიც არ ვიცი, ვინ მონაწილეობს არჩევნებში, თუმცა ვისურვებდი, პარლამენტში პოლიტიკოსები შედიოდნენ. ხომ გახსოვთ, რა ამბები ატყდა, როცა პირველმა მე ვთქვი იმის შესახებ, არ შეიძლება ამდენი სპორტსმენი თუ ხელოვანი იყოს საკანონმდებლო ორგანოში-მეთქი. ისიც გემახსოვრებათ, მაშინ რა დღე მაყარეს, დღეს კი ამ განცხადებებს თავად იმეორებენ. სააკაშვილმა და ივანიშვილმა ქართულ პარლამენტარიზმს უდიდესი დარტყმა მიაყენეს.

— მაშინ რატომ არ ხართ იმ 12 პარტიასთან ერთად, ვინც შუალედურ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს?!

— არჩევნებს ბოიკოტს არ ვუცხადებ, მაგრამ მასში არც ვმონაწილეობ და მაქვს ჩემი პოზიცია: არ მინდა იმ პოლიტიკურ პარტიებთან ყოფნა, რომლებიც ჩემს ხედვას არ იზიარებენ: ქვეყანას პოლიტიკოსთა ცხოვრების წიგნი, პოლიტიკოსად აღიარების წესი სჭირდება.

— ლუსტრაციის კანონზე საუბრობთ?

— რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ გამოვიდნენ და უპასუხონ ხალხის კითხვებს: ვის რა პოზიცია ჰქონდა სამოქალაქო ომის დროს, „ესენგე“-ში შესვლის დროს და ა.შ.

— და ამ 12 პარტიაში თქვენი მთავარი მოკავშირე ნინო ბურჯანაძეცაა, თუ აღარც ხართ მოკავშირეები?

> **— ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინ სადაა და სად არა. მეც რომ ვიყო ამ გაერთიანებაში, იგივეს ვიტყოდი. ნინო ბურჯანაძემ სხვადასხვა გაერთიანებით დიდი შეცდომა დაუშვა. ქალბატონ ბურჯანაძეს ღიად ვუთხარი, რომ სირცხვილად მიმაჩნია იმ 12-დან ბევრ პარტიასთან ერთად ბრძოლა, დგომა და საერთოდ აღარ დავჯდები მოლაპარაკების იმ მაგიდასთან, სადაც მხოლოდ სკამზე მაფიქრალი პოლიტიკოსები სხედან. ბურჯანაძემ თავის გადაწყვეტილებებზე თავად აგოს პასუხი!**

— დამიზუსტეთ, გაიყარა თუ არა თქვენი და ბურჯანაძის გზები საბოლოოდ?

— არ მგონია, რომ პოლიტიკაში და მით უმეტეს, არჩევნებში სადმე კიდევ ერთად ვიქნებით. ჩვენ სახალხო კრებაში ვიყავით, რომელიც პარტიული გაერთიანება არ ყოფილა და სწორედ ეს შეეშალა ჩვენთან ნინო ბურჯანაძეს. ამიტომ სხვებთანაც აღარ დავჯდები სალაპარაკოდ, ამიერიდან, მხოლოდ პროფესიონალების გვერდით ვიქნები. შეიძლება, თემურ შაშიაშვილის ერთგული არ იყო, მაგრამ ქვეყანას უერთგულო. თუმცა ამის მიხედვით, პარტნიორებს არავინ არჩევს. ივანიშვილმაც პირადად მისი ერთგული ლაქიები მოიყვანა პოლიტიკაში და ჩვენც დაგვღუპა და საკუთარი თავიც. არ ვიცი, ვისი გზები სად გაიყარა, მაგრამ ვიცი, სად ვარ — „თეთრები“ იმ ხალხის გვერდით ვდგავართ, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოში პოლიტიკოსად აღიარების რაღაც სისტემაა საჭირო.

> **ერთ მაგიდასთან შეკრებილ იმ 12 პარტიას პოლიტიკოსებად არ მივიჩნევ, რადგან არც მათ მივაჩნივარ პოლიტიკოსად. ისინი „თეთრებს“ პარტიად არ თვლიან, მაგრამ თავად კლასიკური გაგებით პარტიები არიან?! შეიკრიბება 5-6 პარტია, იშოვიან საყრდენს, ვინც მხარს უჭერს ან აფინანსებს და მერე ვითომ ერთიანდებიან. ეს ხომ ნამდვილი იდეის გარშემო შეკრული გაერთიანება არ არის?! ყველაფერი დანარჩენი პარტიული გუნდების წიოკია და მერე ბიზნესმენების დაწიოკება. ესაა რეალობა.**

ერთსაც გეტყვით: საქართველოს პოლიტიკოსთა 90% ან რუსეთს ემსახურება, ან ამერიკას. ის, ვინც ყველაზე მეტად ეგება ფეხქვეშ ამერიკას, რეალურად, იმას ებრძვის, რაც მართლაც კარგია ამერიკაში — ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზება არ სურთ, არც მაჟორიტარული არჩევნები უნდათ.

— მაჟორიტარული წესის გაუქმება რომ არ გინდათ, ეს ნათელია.

— ამერიკაში მაჟორიტარებითაა დაკომპლექტებული კონგრესიცა და სენატიც. სააკაშვილიც დიდი ანტიამერიკელი იყო და ივანიშვილიც, დაწყებული მის მიერ ფულების დარიგებით და გაგრძელებული მისი სხვა ნებისმიერი ქმედებით.

— ისე, სახალხო კრების ყოფილმა წევრმა ირაკლი ბათიაშვილმა რომ თქვა, ყოფილი ხელისუფლების გარკვეულ წრეს ბიძინა ივანიშვილის აფეთქება უნდაო, ეს განცხადება რას ნიშნავდა?

— რას ნიშნავს, ვერ გეტყვით, მაგრამ ვისურვებდი, ირაკლი ბათიაშვილი ამ განცხადებით არ გამოსულიყო, რადგან მის მიმართ კეთილგანწყობილი ვართ. არავის აინტერესებს ბიძინა ივანიშვილის აფეთქება. აი, ვისაც მისი აფეთქება უნდა აინტერესებდეს, იმას სწორედ ასეთი ბიძინა ივანიშვილი უფრო სჭირდება. იმ ძალებს, ვინც ბიძინას აფეთქებაზე საუბრობს, გაცილებით მეტად აწყობთ საქართველოში ჩამოყვანილი და აფეთქებული სააკაშვილის ხილვა.

— ეს რას ნიშნავს, ანუ თავად ყოფილ ხელისუფლებას აწყობს სააკაშვილის აფეთქება?

— საუბარია იმ ძალებზე, ვისზეც ბათიაშვილი აკეთებს აქცენტს. დიახ, მათ რეალურად, მიხეილ სააკაშვილის აფეთქება აწყობთ, ამიტომ სწორად იქცევა ეს ხელისუფლება, სააკაშვილს საქართველოში რომ არ უშვებს, რადგან ამ ძალების მიზანია, სააკაშვილი აქ ჩამოვიდეს, აფეთქდეს და გმირად იქცეს.

— შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი რა არის, ვადამდელი არჩევნები, როგორც ამას ნაციონალები ითხოვენ?

— არჩევნებამდე ერთი წელი რჩება, ასე რომ, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა ახლა სისულელეა. ამ ვითარებიდან გამოსავალი ერთია: ნაციონალური მოძრაობა სახალხო სასამართლომ უნდა გაასამართლოს, „ოცნება“ კი უნდა წავიდეს, რადგან ამ ძალის შიგნით იმის არავითარი პოტენციალი არ არის, რომ ვითარების შეცვლა შეუძლია.

— გულაცრუებული კი ხართ პოლიტიკაზე, მაგრამ თქვენ რას აპირებთ საპარლამენტო არჩევნებისთვის?

— რა თქმა უნდა, მონაწილეობას მივიღებთ, ოღონდ პროფესიონალებთან ერთად და ძლიერი პარტიით! ჩვენ ძალიან ძლიერი გუნდი გვეყოლება — საქართველო ჩვენგან ძლიერ და სერიოზულ გუნდს უნდა ელოდეს!

ვერსიანიუსი

ბიძინა ივანიშვილის აფხაზეთში უძრავ ქონებას ყიდულობს?

აფხაზურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ოკუპირებულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების მასობრივი შესყიდვა სურს და ამისთვის ფონდიც ჩამოაყალიბა.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების შესყიდვების მექანიზმები არ კონტროლდება, რასაც ადგილობრივი მეცნიერები და ინტელიგენცია ძალიან მწვავედ აფასებს და ითხოვენ, შესაბამისი კანონმდებლობით იქნას დაცული საკუთრების გაყიდვა უცხოელებზე. დე ფაქტო საგარეო უწყების ყოფილი ხელმძღვანელი სერგეი შამბა აღნიშნავს, რომ ინფორმაცია, ბიძინა ივანიშვილის მიერ სპეციალური ფონდის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვების გამო შეიქმნა, არარეალურია: **„შესაძლოა აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვის სურვილი ქართულ დიასპორას აქვს, მაგრამ შესაძლებელია, რომ ყველაფერი გავაკონტროლოთ. გარწმუნებთ, თუ პარლამენტი აღნიშნულ საკითხს განიხილავს, დაცვის მექანიზმებსაც გაითვალისწინებს. ვერ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცამ რაღაც პროგრამა დაგეგმოს, მაგრამ ვერ ვხდები, როგორ შეიძენს რომელიმე ქართველი უძრავ ქონებას აფხაზეთში? რას გააკეთებს მერე? რას იზამს, ჩამოვა აქ დასასვენებლად ან საცხოვრებლად? თუ მართლა არსებობს ასეთი პროგრამა, ეს არარეალურია. ქართველებმა აქ იარაღით ხელში ვერ შეძლეს გამაგრება და უიარაღოდ ჩამოვლენ აქ საცხოვრებლად? მართალია დღეს უძრავი ქონების გაყიდვის პროცესი არ რეგულირდება და საჭიროა რაიმე მექანიზმის შემუშავება, მაგრამ არ შეიძლება ყველაფრის წინააღმდეგი იყო და არ გსურდეს, ქვეყანა ნორმალურად განვითარდეს“.**

ამასთან, როგორც შამბა სუკჰუმ-მოსცოწ.რუ-სთან საუბრისას აცხადებს, საჭიროა შემუშავდეს სპეციალური მექანიზმები, რითაც უძრავი ქონების შესყიდვების გაკონტროლება შესაძლებელი იქნება: **„ვისაც სურს აფხაზეთში უძრავი ქონება შეიძინოს, ყოველთვის მონახავს ამის საშუალებას. არ მიმაჩნია, რომ უძრავი ქონების გაყიდვა უნდა ავკრძალოთ. ეს უნდა წავახალისოთ. თუ უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ კანონს მივიღებთ, ცხადია, მასში უნდა იყოს ასახული დაცვის მექანიზმები. ეს ყველაფერი სამუშაო პროცესში უნდა იყოს განხილული. შევამჩნიე, რომ ამ ბოლო დროს, როგორც კი აღნიშნული კანონის შესახებ დავიწყებთ საუბარს, მაშინვე წინააღმდეგობას ვაწყდებით. ჩვენ დავიწყებთ მუშაობას და გუნდური პრინციპით მივიყვანთ მას იმ დონემდე, რომ ეს ყველაფერი ჩვენ სუვერენიტეტს არ დაემუქროს“.**

„პირველი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ოცნება“ ნარმანიას გაწირავს?!

ნაციონალური მოძრაობა „გადადექი-გადადექის“ ტალღაზე გადაეწყო — ორიოდ დღის წინ, საპარლამენტო შემადგენლობამ მთავრობის გადადგომა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მოითხოვა, ახლა კი საკრებულოს შემადგენლობა ითხოვს არჩეული მერის გადადგომასა და თბილისში თვითმმართველობის ვადამდელ არჩევნებს. საკრებულოში ნაციონალური მოძრაობის ფრაქციამ ნარმანიას უმოქმედო, უგნური, საკუთარი გუნდისგან გარიყული, უპასუხისმგებლო და კორუფციაში ჩაფლული უწოდა და იქვე დააყოლა, ამ კრიტიკული მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ივანიშვილის წარუმატებელი ექსპერიმენტის, დავით ნარმანიას თანამდებობიდან გადადგომა და რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაა. ჩვენ კი, დაკარგული წელიწადნახევრის შემდეგ, მზად ვართ, არჩევნების გზით, პასუხისმგებლობა ავიღოთ მძიმე მდგომარეობის დროულად, მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გამოსწორებასა და ქალაქის შემდგომ განვითარებაზეო.

თუმცა, ამჯერად, ნაციონალებს მსუყე საკბილო მართლაც აქვთ — მერის გადადგომის მოთხოვნა, შესაძლოა, ლეგიტიმურადაც ბევრ მოქალაქეს მოეჩვენოს, როგორც საკრებულოს დანარჩენ ოპოზიციას და მეტიც, არაა გამორიცხული, ამ მართლაც მძიმე ვითარებაში, ერთი ლიდერის გაწირვა „ოცნებსაც“ აწყობდეს. მით უმეტეს იმ ფონზე, როცა მერიაში 6 სხვადასხვა საქალაქო სამსახურის უფროსის პოსტია ვაკანტური, უწყებას აუდიტის სახელმწიფო სამსახური ამოწმებს და მას ბობოლა მაღალჩინოსნები, ყოველგვარი ახსნის გარეშე, პანტაპუტნით ტოვებენ. „მერიიდან გაუჩინარებულთა“ ამ გრძელ ჯაჭვში ბოლო, თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი გეგი ნიჟარაძე იყო, რომელმაც ოფიციალური ინფორმაციით, თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. მისი პოსტის მსგავსად, ახლა არქიტექტურის, კეთილმოწყობის სამსახურისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობებია ვაკანტური. ოფიციალური ინფორმაციით, სუდაძეს სწორედ არქიტექტურის სამსახურის უფროსი ნინო ღოღობერიძე და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის უფროსი კახა ჩიხრაძე მიყვნენ. არაოფიციალური ინფორმაციით კი, ისინიც ხელისუფლების შიგნით არსებულ კორუფციულ სკანდალებს შეეწირნენ. გავრცელდა ინფორმაცია იმაზეც, თითქოს თანამდებობა დატოვა მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსმა, გივი ჩივიაშვილმაც. თუმცა, ამ უკანასკნელმა, ფაქტი არ დაადასტურა და განაცხადა, რომ თანამდებობიდან მისი წასვლის შესახებ საუბარიც არ ყოფილა და არ იცის, რატომ გავრცელდა ეს ხმები.

მანამდე, სულ 1 კვირით ადრე, მერიიდან კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი ავთანდილ სუდაძე წავიდა, ოფიციალურად, ისიც საკუთარი განცხადებით. საინტერესო კი ისაა, რომ ამ განცხადების დაწერამდე 3 დღით ადრე შევიდა კეთილმოწყობის სამსახურში სახელმწიფო აუდიტი და ამ სამსახურის მიერ ჩატარებული ტენდერებისა და ერთ პირთან პირდაპირი გზით გაფორმებული კონტრაქტების შესწავლა დაიწყო. მანამდე, რამდენიმე თვის წინ, ვიცე-მერმა ალექსანდრე მარგიშვილმა დატოვა პოსტი საეჭვოდ სწრაფად, თუმცა ის სასათბურე პირობებში გადაიყვანეს — სპეციალური სამსახური, თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი გაუხსნეს. სამაგიეროდ, ახლა ირკვევა, რომ თურმე მისი საქმიანობის დეტალური შესწავლით „ოცნების“ პარლამენტარი გია ჟორჟოლიანი დაინტერესებულა. უფრო ადრე, მარტში, თანამდებობიდან „საოცრად წავიდნენ“ მერიის ადმინისტრაციის უფროსი და მისი მოადგილე. მაშინ საკრებულოს უმცირესობამ, ალექსანდრე მარგიშვილის მსგავსად, რეზო ჩახავასა და მარიამ შელეგიას წასვლაც კორუფციულ გარიგებებს დაუკავშირა. მერიისადმი განსაკუთრებული ინტერესის სეზონი კი მაინც ცნობილმა ჯოკია ბოდოკიამ გახსნა, რომელიც ამ დღეებში გამართულ კიდევ ერთ სასამართლო მოსმენაზე ისევ უარყოფდა უწყებაში დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტს. ამას მერის არაადეკვატური განმარტებებიც ემატება ამ საკადრო ცვლილებებისა და სხვა ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა თბილისის გზებზე არსებული ორმოები, გადათხრილ ქუჩები, გადაჭრილი ხეები, ახალ-ახალ საეჭვო ტენდერები და ყოველ ფეხისნაბიჯზე მომრავლებული მშნებლობები, რასაც მოსახლეობა ლამის ყოველდღიურ რეჟიმში ლოკალურად აპროტესტებს. ვრცელდება ინფორმაციები, ამ გაჭირვების ჟამს მერიის მიერ „საახალწლო ნაძვის ხის“ ტენდერების შესახებაც და ირკვევა, რომ ახალი წელი თბილისს, ამჯერად, 270 000 ლარი დაუჯდება. ამ ყველაფრის პასუხად კი, მთავრობის სხდომაზე, რომელსაც დავით ნარმანიაც ესწრებოდა, მთელ ამ აჟიოტაჟს უსაფუძვლო უწოდა და განაცხადა, როგორი ეფექტური და კარგიც აქამდე ვიყავი, ისე ეფექტურად და თანმიმდევრულად ვაგრძელებ ჩემი ქალაქის განვითარებას და ვაკანტურ ადგილებს მალე კვალიფიციური კადრები დაიკავებენო. საინტერესოა, არჩეული მერისთვის უწყებაში ჩაშლილი ტენდერები, ჯოკია ბოდოკიას სკანდალი, ნეპოტიზმის უდიდესი ტალღა, 6 საქალაქო სამსახურის ვაკანტური თანამდებობა და მერიის მაღალჩინოსნების საოცარი გაუჩინარებანი ასევე „უსაფუძვლო აჟიოტაჟია“, თუ იმის საკმარისი საფუძველი მაინცაა იფიქროს, რომ ცოტა ხანში, თავადაც წყალი შეუდგება? შეტევების ერთი დიდი ტალღა ნარმანიამ უკვე გადააგორა, როცა იგი საკრებულოში ხელმოწერების შეგროვებით დაიბარეს. პირველად ამის შესახებ სწორედ „ვერსია“ წერდა. საკრებულოს უპარტიო დეპუტატი ალექსანდრე ელისაშვილი ექსკლუზიურად გვესაუბრა და გვითხრა, ნარმანიას დასაბარებლად ხელმოწერებს ვაგროვებო. ელისაშვილი არც ვადამდელ არჩევნებს გამორიცხავდა, პირიქით, ამბობდა კიდეც, რომ შექმნილ ვითარებაში, ეს ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა. **ალექსანდრე ელისაშვილი: „ნარმანია პოლიტიკურად და მორალურად თბილისის მერობისთვის მზად არ იყო, ამიტომ მართვის სადავეები ხელიდან თითქმის სრულად გაექცა და არ მინდა, უბრალოდ, მერის სავარძლის შემავსებლად იქცეს. ნარმანიას ჯერ კიდევ აქვს შანსი, რეალურად შეასრულოს თავისი ფუნქცია და მიხვდეს, რომ ხალხის მიერაა არჩეული და არა ივანიშვილის დასმული. ეს უთავბოლობა მალე უნდა დასრულდეს, მით უმეტეს, თბილისში პროცესები ძალიან სწრაფად ვითარდება ხოლმე. ორმოებსაც ყველა კარგად ხედავს, „სიტი პარკის“ თავხედობასა და ბევრ სხვა პრობლემასაც და არავის ეგონოს, რომ ხალხი მხოლოდ გიგი უგულავას დაჭერით დაკმაყოფილდება 4 წლის განმავლობაში. საკრებულო დღეს თბილისის პრობლემების ადექვატური არ არის, მისი დღის წესრიგი და რეალური პრობლემები ერთმანეთისგან შორიშორსაა. სინამდვილეში, ეს „წიკუჩკების“ საკრებულოა — მერიიდან მოდის ხელმოსაწერად გამზადებული, შაბლონური პროექტები და აქ ბეჭედს ურტყამენ. არც ერთ არსებით პრობლემაზე საკრებულოში განხილვა არ ყოფილა. როცა „ოცნების“ დეპუტატების სიას ადგენდნენ, ამ შედეგებზე მაშინ უნდა ეფიქრათ. ამიტომ ვფიქრობ, ამ ვითარებიდან გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია“.** მერიაში მიმდინარე გაურკვეველი პროცესების ახსნა საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატს **სოსო მანჯავიძესაც** ვთხოვეთ. გუნდის მიერ ნარმანიას „შეწირვის“ სცენარი არც მან გამორიცხა, თუმცა არც ისურვა და განაცხადა, რომ ეს არსებულ გაურკვევლობას კიდევ უფრო დაამძიმებს: **„წავიდა სუდაძე, რომელსაც ამხელა სამსახური ჰქონდა ჩაბარებული და არანაირი პრაქტიკა არ ჰქონდა. ასევე, 29 წლის ქალბატონი, ღოღობერიძე, სრულიად გაუგებარი კვალიფიკაციით, ასევე, ბატონი ხომერიკი, შემდეგ, გაგოშიძე, ეკონომიკური სამსახურის უფროსი და ა.შ. რომელი ერთი ჩამოთვალო — ეს ყველაფერი, სულ მინიმუმ, იმას ნიშნავს, რომ ნარმანიამ არაერთი საკადრო შეცდომა დაუშვა. უფრო მძიმე ვარიანტი კი ისაა, რომ იმ ხალხმა, ვინც პოსტი გაურკვეველ ვითარებაში და ძალიან სწრაფად დატოვა, მძიმე დარღვევები ჰქონდა... ის ვერსიაც არსებობდა, თითქოს ნარმანიას სპეციალურად სუს-ი უზის მერიაში და დისკრედიტებას უწევენ. თუ ასეა, მაშინ ლოგიკა ისაა, რომ ნარმანიას დისკრედიტებას მისივე გუნდი ცდილობს, რომლის ერთ-ერთი სახე არჩეული მერიცაა? თუ ეს ასეა, მაშინ მმართველობით ქაოსთან გვაქვს საქმე! ის, რაც ახლა ხდება, მარტო ნარმანიას კი არა, კოლექტიური პასუხისმგებლობის საკითხია. აქ ცუდი ის კი არაა, რომ კონკრეტული სამსახურების უფროსები მიდიან, არამედ არ ვიცით, რატომ მიდიან. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ რაც ნარმანია ამ პოსტზე მოვიდა, მასზე საინფორმაციო დარტყმები არ შეწყვეტილა — იგი განუწყვეტელი საინფორმაციო ტერორის ქვეშაა. არასასურველია, მაგრამ რა თქმა უნდა, რეალური, რომ თუ საჭიროება დადგება, საკრებულო ნარმანიას იმპიჩმენტსაც მოუწყობს. თუმცა ასე სრულ ქაოსს, დესტაბილიზაციასა და ცუდ პროცესებს მივიღებთ. ერთიცაა, საკრებულოში ოპოზიციას იმის შესაძლებლობა არ აქვს, იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყოს — ამისთვის უბრალოდ ხმები არ ეყოფათ. ვიცი, არსებობს სერიოზული კითხვები თავად „ოცნების“ გუნდშიც, არის დიდი შეშფოთებაც და ალბათ, ნარმანიას მოსმენაზე უმრავლესობა თვითონ დაიბარებს. ცუდი იქნება, თუ ამ ერთ დიდ მმართველობით ქაოსში ჩაძირულ და ეკონომიკურადაც დაძაბულ ვითარებას დავით ნარმანია შეეწირება... როგორც ვიცი, ახლა ეს ცნობილი პრემიები მერიის მთავარი პრობლემა სულაც არ არის. საუბარი უფრო სერიოზულ ფინანსურ დარღვევებს ეხება. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, ვიდრე აუდიტის დასკვნები დაიდება, თუმცა ვიცი, რომ არის მასშტაბური ფინანსური დარღვევები, რაც ჩემი ინფორმაციით, პირადად ნარმანიას არ უკავშირდება. გულწრფელად გეუბნებით, ნარმანია, როგორც ადამიანი, მეცოდება, რადგან არავის ვუსურვებ, ამხელა დარტყმების ქვეშ ყოფნას. თუმცა მგონია, თუ ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება, ის თავად დაწერს განცხადებას და წავა“.**

თავად დავით ნარმანია აცხადებს, რომ ხალხის მიერ არჩეული მერი ოპოზიციური პოლიტიკური ძალის გადასაყენებელი არ არის და ნაციონალების მოთხოვნა უხერხულია. ნარმანია, გადადგომას არ აპირებს. ამ შემთხვევაში, ტექნიკურად, საკრებულოს ნაციონალებს დანარჩენი უმცირესობა, ანუ ბურჯანაძეალასანიას წარმომადგენლებიც რომ შეუერთდნენ, საკრებულოს ხმების 3-4-ს მაინც ვერ შეადგენენ, რომ ნარმანიას იმპიჩმენტი მოუწყონ. ასე რომ, თუკი „ოცნება“ არჩეულ მერს საკრებულოში მორიგ მოსმენაზე ისევ დაიბარებს და სიტყვას ვადამდელ არჩევნებზეც გადაუკრავს, ე.ი. „ქართული ოცნება“ ლარის, ორმოებისა და პოლიტიკური არეულობის საპირწონედ, „განტევების ვაცად“ დავით ნარმანიას გამოიყვანს.

ვერსიანიუსი

თბილისელები, ვისაც შინაური ცხოველი დარეგისტრირებული არ ჰყავს, დაჯარიმდებიან

„შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის წესი“ 6 თვეა მოქმედებს. საკრებულომ აღნიშნული კანონი 6 აპრილს მიიღო და 8 აპრილს შევიდა ძალაში. 8 აპრილიდან 6 თვის ვადაში ყველა შინაური ცხოველის მეპატრონე ვალდებული იყო, რომ ცხოველი იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროცედურებზე გაეტარებინა — ჩიპირება, ტატუირება და საჭდე, იგივე „ბირკა“.

ცხოველთა მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, იდენტიფიცირება ხდება ცალკეულ ვეტკლინიკებში ან თავშესაფრებში, შესაბამისად ისინი ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაქვემდებარებაში არ არიან და ტარიფებსაც თვითონ ადგენენ.

„ტატუ, ჩიპი ან საჭდე-იდენტიფიცირების ამ საშუალებებიდან არჩევანი მეპატრონემ თავად უნდა გააკეთოს. განსხვავებულია მათი ღირებულებაც. იდენტიფიცირება ღირს როგორც 10 ლარი, ასევე 40 ლარი. მომხმარებელს თავად შეუძლია აარჩიოს, სად გაიაროს ეს პროცედურა“, — აცხადებენ სააგენტოში.

მათივე ინფორმაციით, იდენტიფიცირების შემდეგ პატრონი იღებს სარეგისტრაციო მოწმობას, რაც უფასოა, რომლის დროსაც ცხოველს ენიჭება პირადი ნომერი და მისი მონაცემები თავსდება ერთიან ბაზაში: **„იდენტიფიცირება მხოლოდ ერთხელ, რეგისტრაციის გავლა კი 12 თვეში ერთხელ ხდება. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ გადამოწმდეს, ცოცხალია თუ არა ცხოველი... განმეორებით საკონტროლო რეგისტრაციაც უფასოა“.**

ერთ თვემდე ლეკვი იდენტიფიცირებას არ ექვემდებარება. ერთ თვეზე დიდი ლეკვის ყოლის შემთხვევაში კი, პატრონს ოთხფეხა მეგობრის იდენტიფიცირებისთვის ერთი თვის ვადა აქვს. იმ შემთხვევაში, თუ პირი მოვლა-პატრონობის წესს დაარღვევს, მაშინ ის სამართალდარღვევათა კოდექსის 103 მუხლის მიხედვით, მინიმალური ხელფასის 1/5-ით დაჯარიმდება.

„ინტერპრესნიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ბიზნესმენი თემურ უგულავა სკანდალში ეხვევა

ბიზნესმენი თემურ უგულავა, ყოფილ მეუღლეს ქონებას არ გაუყოფს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, გიორგი ებანოიძის გადაწყვეტილებით, თემურ უგულავას მეუღლის, ბაია დავითაიას არც ერთი სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ბაია დავითაია და თემურ უგულავა, 2002 წელს შეუღლდნენ და 8 წელი (ფორმალურად, დღემდე), რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. ბაია დავითაიას ადვოკატებმა და ქალთა უფლებების დამცველებმა, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ პრესკონფერენცია გამართეს.

რაფომ არ აძლევს ქონებას და შეუმცირა ხარჯები აუტისტს შვილს „ჰოლიდეი ინ-ის“ მეპატრონემ

სასტუმროებისა და სათამაშო ბიზნესის მფლობელის, თემურ უგულავას მეუღლის, ბაია დავითაიას ინტერესებს ორი საადვოკატო ბიუროს, გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტისა და ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენლები იცავენ. ადვოკატები და უფლებადამცველები აღშფოთებულები არიან მოსამართლე გიორგი ებანოიძის გადაწყვეტილებით, რომელმაც უგულავა-დავითაიას ქორწინების პერიოდში შექმნილი, შეძენილი და რაც მთავარია, ღირებულებაგაზრდილი ქონებიდან, ბაია დავითაიას არაფერი მიაკუთვნა. ადვოკატი **გიორგი სარაჯიშვილი:**

„სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის შესაბამისად, ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. განქორწინების შემთხვევაში, ასეთი ქონება მეუღლეთა შორის, თანაბარწილად იყოფა, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლით, ერთ-ერთი მეუღლის ქორწინებამდე არსებული ქონება, შესაძლოა, მეუღლეთა თანასაკუთრებად გადაიქცეს, თუ ქორწინების განმავლობაში გაწეული ხარჯების შედეგად, მისი ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზრდება“.

გიორგი სარაჯიშვილის თქმით, ყოფილი სასტუმრო „აჭარის“, ამჟამად კი „ჰოლიდეი ინის“ ღირებულება უგულავა-დავითაიას თანაცხოვრების პერიოდში, ოთხჯერ გაიზარდა: **„სასამართლოს სპეციალური ანგარიშიც წარვუდგინეთ, რომლითაც ქორწინების პერიოდში გაწეული ხარჯების მოცულობა და ქონების ღირებულების ზრდაა განსაზღვრული. სწორედ ამ ანგარიშით დადგინდა, რომ „ჰოლიდეი ინის“ საბაზრო ღირებულება ოთხჯერ გაიზარდა. თეიმურაზ უგულავას კიდევ ერთი კომპანია „ქროსვეისის“ შემთხვევაში, ქორწინების პერიოდში გაწეული ხარჯები, 300-ჯერ აღემატებოდა ქორწინების დროისთვის კომპანიის ღირებულებას, რამაც განაპირობა კომპანიის საბაზრო ღირებულების 550-ჯერ ზრდა. ამის მიუხედავად, სასამართლომ ბაია დავითაია ამ ქონების თანამესაკუთრედ არ მიიჩნია. მეტიც, ყოველგვარი დასაბუთების გარეშემ თანასაკუთრებად არ ჩათვალა ქორწინების პერიოდში შეძენილი/შექმნილი ახალი აქტივები. ჩანს, მოსამართლეს ისე გაუჭირდა გადაწყვეტილების ამ ნაწილის თუნდაც აბსურდული დასაბუთება, რომ ამჯობინა საერთოდ არ მიეთითებინა სამართლებრივი საფუძვლები“.**

ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელმა, **ანა აბაშიძემ** განმარტა, რომ მოსამართლე გიორგი ებანოიძის გადაწყვეტილებით, თემურ უგულავასა და ბაია დავითაიას შვილის უფლებებიც დაირღვა. ანა აბაშიძის განცხადებით, თემურ უგულავას, როგორც აუტისტური სპექტრის მქონე არასრულწლოვანი ბავშვის მამას, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, 25%-ით შეუმცირდა ხარჯები, რასაც წლების მანძილზე, შვილის მკურნალობა-რეაბილიტაციისთვის იხდიდა: **„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის თანახმად, მშობლები ვალდებულნი არიან, აღზარდონ შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის. ეს ვალდებულებები მოიცავს როგორც მატერიალურ უზრუნველყოფას, ასევე მორალურ-სულიერ მხარდაჭერას. დედა, ბაია დავითაია, წლების განმავლობაძილზე, ორივე მშობლის ვალდებულებას ასრულებს. მამა კი, მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფით გამოხატავს მამობრივ ვალდებულებას. სამწუხაროდ, სასამართლო არ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, ქალთა და დედათა უფლებების ჭრილში ემსჯელა, რითაც მართლმსაჯულება ქალთათვის ხელმისაწვდომი გახდებოდა. ამის ნაცვლად, სასამართლომ მამის მხრიდან მშობლის მოვალეობის შესრულების მატერიალური ნაწილიც კი შეამცირა და რისკის ქცვეშ დააყენა არასრულწლოვანის ფიზიკური თუ გონებრივი განვითარება“.**

ქონების გაყოფაზე უარის საფუძვლად, მოსამართლემ მიუთითა — რადგან შვილის მკურნალობის მიზნით ბაია დავითაია საზღვარგარეთ იმყოფებოდა და აქტიურად ვერ მონაწილეობდა ქონების ღირებულების ზრდაში, მას თემურ უგულავას კუთვნილი ქონებიდან: „აჭარაბეთიდან“, „ჰოლიდეი ინიდან“, „ყაზბეგი რუმსიდან“ წილი არ ეკუთვნის. ანა აბაშიძე: **„აქედან გამომდინარე, მოსამართლე გიორგი ებანოიძის გადაწყვეტილება საგანგაშოა! ამგვარი მიდგომა ბავშვის უფლებების საწინააღმდეგო სტანდარტის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს, რაც მომავალში, სხვა მშობლებსაც არჩევანის წინაშე დააყენებს — ქალებმა შვილებზე იზრუნონ, თუ ბავშვების იგნორირების ხარჯზე, აქტიური მონაწილეობა მიიღონ თანასაკუთრებაში არსებული ქონების ღირებულების ზრდაში. ასეთი ლოგიკა ცალსახად დისკრიმინაციულია ქალისა და ბავშვის მიმართ“.**

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის წევრმა გაერო-ში, **ლიკა ნადარაიამ** უგულავა-დავითაიას საქმეში ქალთა უფლებებზე გაამახვილა ყურადღება: **„მოსამართლის გადაწყვეტილებაში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დამოკიდებულება ჩანს, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქე ქალბატონს სამართლისადმი ხელმისაწვდომობაზე, ეკონომიკურ მდგრადობასა და პიროვნული ღირსების დაცვაზე უარს ეუბნება. ამ გროტესკული გადაწყვეტილებით, 8 წლის განმავლობაში შექმნილი კეთილდღეობიდან, ქალბატონს საკუთარი წილის მიღებაზე უარი უთხრეს. გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, საქართველო 86-ე ადგილზეა, ეს კი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას ხელს უშლის. ამ ფონზე, ეს გადაწყვეტილება, რომელიც ქალთა და ბავშვთა უფლებებს არღვევს, საქართველოს მძიმე შედეგს მოუტანს“.**

საადვოკატო ბიუროს „ერისთავი და პარტნიორების“ წარმომადგენელმა, ადვოკატმა **დავით ერისთავმა** განაცხადა, რომ საქალაქო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში უკვე გაასაჩივრეს. მისი თქმით, მოსამართლე გიორგი ებანოიძემ აბსურდული და იურისტებისთვის გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო:

„დადგენილი გარემოებაა, რომ არსებობს ქონება, რომელიც გაყრის შემთხვევაში, მეუღლეებს შორის უნდა გაიყოს. ბაია დავითაიას ეს კანონიერი მოთხოვნა მოსამართლემ არ დააკმაყოფილა. გვიჩნდება სამართლიანი ეჭვი, რომ ამ შემთხვევაში, კორუფციულ გარიგებასთან გვაქვს საქმე. მეტიც, ამ გადაწყვეტილებას დასაბუთება არ აქვს. კანონში ცალსახად განმარტებულია, როგორ უნდა გაიყოს ქონება და რა უფლებები უნდა ჰქონდეთ მეუღლეებს, მაგრამ გიორგი ებანოიძის გადაწყვეტილებით, სასწორი მხოლოდ ერთ მხარეზეა გადაწეული — სასამართლომ მხოლოდ თემურ უგულავას მოთხოვნა გაითვალისწინა.

იურიდიულად შეუძლებელია ავხსნათ, რატომ მიიღო მოსამართლემ ასეთი გადაწყვეტილება. იმედია, ამ გაუგებრობას სააპელაციო სასამართლო დაუსვამს წერტილს და ებანოიძის გადაწყვეტილებას გააუქმებს“.

ვის დარჩება კაზინო „აჭარა“ და რატომ იყო ჩამოსული საქართველოში დავით იაკობაშვილი

რაფომ გააუქმეს სამორინეში „ვიპ-ოთახი“ და ვინ ცდილობს „აჭარის“ ჩაძირვას

ლაშა დვალი

კაზინო „აჭარას“ გარშემო ატეხილი სკანდალი თითქოს მიწყნარდა, მაგრამ რეალურად ბრძოლა კულუარებში გრძელდება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ კაზინო „პარტერშია“ გადაყვანილი და მისი ჩაძირვის პროცესი მიმდინარეობს. ოფიციალურად კი გაიხსნა და სტუმრებსაც ელის, მაგრამ...

გახსნის მეორე დღეს სამორინეში 4 სათამაშო მაგიდა და 34 აპარატი აიღეს. ეს კი იმის გამო გააკეთეს, რომ მიმსვლელთა რიცხვი ძალიან შემცირდა. ჯერ ერთი, ამდენი ხნის განმავლობაში დაკეტილ კაზინოს მუდმივი კლიენტები აღარ სწყალობენ და მათ სხვა კაზინოები არჩიეს და მთავარი — „აჭარას“ ოფიციალურად აუკრძალეს ე.წ ვიპ-ოთახის გახსნა. „ვიპ-ოთახი“ ყველა კაზინოშია და ის განსაკუთრებული კლიენტებისთვის არის განკუთვნილი. ცნობად სახეებს, ან უბრალოდ იმ ადამიანებს, ვისაც ძალიან დიდ ფულზე სურს თამაში, არ უნდათ, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცნენ და ამიტომ, „ვიპ-ოთახს“ ამჯობინებენ, სადაც მხოლოდ თავად და კრუპიე იქნებიან, თუმცა...

„ოფიციალური მიზეზი, რის გამოც „ვიპ-ოთახის“ გახსნა, აგვიკრძალეს, ის გახლავთ, რომ თურმე გარედან არ ჩანს ვინ თამაშობს ამ ოთახში. არადა, მთელი ხიბლი სწორედ ის არის, რომ არ ჩანს, ვინ თამაშობს, რადგან ადამიანებს, ვისაც არ სურთ გამოჩენა, არანაირად არ უნდათ, „ვიპში“ გარედან ჩანდნენ და ყველამ შენიშნოს. ამის დასტურად შეგვიძლია გითხრათ, რომ რამდენიმე დღის წინ უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები შემოვიდნენ, თითომ ათი ათას დოლარზე მეტი დაახურდავა, მაგრამ როგორც კი ვუთხარით, რომ „ვიპ-ოთახი“ არ გვქონდა, თანხა დაიბრუნეს და სხვაგან წავიდნენ“, — გვითხრა კაზინოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

მანვე განმარტა, რატომ აიღეს სათამაშო მაგიდები და აპარატები: **„თითო აპარატზე კვარტალში 8 ათასი ლარია გადასახდელი, თითო მაგიდაზე კი — 30 ათასი. რულეტკის მაგიდის გადასახადი 48 ათასია. იმის გამო, რომ კლიენტები აღარ დადიან, აპარატები და მაგიდები უქმად იდგა და ამიტომ გადავწყვიტეთ აგვეღო, რათა ხარჯი შევამციროთ. ამასთან, იმ თანამშრომლების ნაცვლად, რომლებიც სამსახურიდან მიდიან, ახლებს ვერ ვიღებთ, რადგან არც საჭიროება გვაქვს და არც შენახვის თავი. კაზინო „აჭარა“ იძირება და სავარაუდოდ, ახალი წლის შემდეგ, სხვა მფლობელი ეყოლება, რომელსაც „ვიპ-ოთახსაც“ გაახსნევინებენ და ფინანსურიდან ერთბაშად 40 თანამშრომელიც არ დაესხმება თავს“.**

კაზინოს წარმომადგენელმა ისიც გაგვიმხილა, რომ გასულ კვირას, საქართველოში კაზინოს მფლობელი, დავით იაკობაშვილი იყო ჩამოსული და რამდენიმე შეხვედრა გამართა, თუმცა საიმედო ვერაფერი მოისმინა. მისი ვარაუდით, ლიცენზიას, რომელსაც ვადა წლის ბოლოს გასდის, აღარ გაუგრძელებენ და თუ გაუგრძელებენ, „აჭარას“ ისეთ პირობებში ჩააყენებენ სხვა კაზინოებთან მიმართებაში, რომ აზრი არ ექნება მუშაობას. **„ჩვენი ინფორმაციით, კაზინო შესაძლებელია კიდევ ერთხელ გაიყიდოს. ამბობენ, რომ მისი ხელში ჩაგდება იმ პირებს სურთ, რომლებიც ენერგეტიკის მინისტრთან, კახა კალაძესთან მეგობრობენ. მეტიც, იაკობაშვილს პრაქტიკულად ყველა შეხვედრაზე დაჰყვებოდა კახას მეგობარი და თუ ვინმე ამიხსნის რატომ, კმაყოფილი ვიქნები“,** — განმარტავს „ვერსიის“ წყარო.

უკვე ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, იაკობაშვილი კაზინოში თავადაც იყო მისული და მენეჯერებთან საიდუმლო თათბირი გამართა. თათბირს მხოლოდ მენეჯერები ესწრებოდნენ და იაკობაშვილმა ოთახიდან დაცვის წევრებიც კი დაითხოვა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ბიზნესმენს საქართველოში თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დავით კეზერაშვილის ყოფილი „ლიჩნიკები“ იცავენ და მუდმივად გვერდით დაჰყვებიან. იაკობაშვილი კი ამბობს, კაზინო მთლიანად ჩემია, კეზერაშვილისგან წილი სრულად გამოვისყიდეო, მაგრამ ფაქტია, რომ მას თავდაცვის ექსმინისტრთან ძალიან ახლო ურთიერთობა აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი დაცვის ყოფილ წევრებს საკუთარ სიცოცხლეს არ ანდობდა.

კაზინოს თანამშრომლები აქტიურად ეძებენ ახალ სამუშაო ადგილებს, რადგან კულუარულად იციან, რომ ახალი წლის შემდეგ, სამორინეში, როგორც თანამშრომელთა, ისე მენეჯმენტის ახალი წარმომადგენლები შევლენ.

სასიკვდილო კარცერი პოლიციელის მკვლელისთვის

„სვაბოდის“ სპეცრაზმი სცემს ყოველდღე. ორივე ხელი მოტეხეს, თავი რომ ვერ მოიკლას, მაგრამ არ ჭამს და მგონი, შიმშილით აპირებს სიკვდილს“

პატიმარი №0578

2014 წლის 27 დეკემბერს ბათუმში, დისკო-კლუბ „ლეგასში“ მკვლელობა მოხდა. პოლიციელ თარაშ მუკბანიანის მკვლელობაში ბრალდებულ რამაზ დევაძეს სასამართლომ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დევაძის ოჯახი და ადვოკატი აცხადებენ, რომ მკვლელობა გაუფრთხილებლობით იყო ჩადენილი და სასჯელი არაადეკვატურია, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილების არც გაკრიტიკებას და არც მოწონებას არ ვაპირებთ. უბრალოდ...

სამწუხაროდ, სამართალდამცავთა მკვლელობა განზრახ თუ გაუფრთხილებლობით ადრეც ხდებოდა და ამის ფაქტები ახალი ხელისუფლების პირობებშიც არაერთი გვქონდა. მაგალითად მხოლოდ შალვა აბულაძის დასახელებაც კმარა, თუმცა...

„დამღალა ამის ოფიციალურმა ტონმა და საელჩოებზე თუ არასამთავრობებზე დაწერილმა წერილებმა, კარცერში ჩაგდეთ“, — ეს განკარგულება გლდანის ციხის დირექტორმა ალექსანდრე მუხაძემ, იგივე „ქილერამ“ 2011 წელს გასცა და პატიმარი №0578 კამერიდან კარცერში პირადად ოლეგ ფაცაციამ გადაიყვანა. ფაცაციამ კარცერისკენ მიმავალ გზაზე „მეგობრულად“ ურჩია, ცოტა მუხრუჭებს მოუჭირე, თორემ ერთ დღესაც გვეტყვიან, №0578 ჩამოკიდეთო და თვითმკვლელობის ისეთ სცენას დაგიდგამთ, ჰიჩკოკს შეშურდება.

„ყოჩაღ... ნაღდად არ მეგონა, ჰიჩკოკი თუ გქონდა გაგონილი. აქ ყველა ოფიცერი შუშის თვალებით იყურება, „კლუჩნიკები“ საერთოდ ერთუჯრედიანები არიან, ამებას ჰგვანან და უცებ ჰიჩკოკი“, — გაუღიმა №0578-მა.

„რას ჰგვანან?“ — ჰკითხა ფაცაციამ და...

„არა... ვიჩქარე შეფასებაში... კარგი, ჩუმად ვიქნები, თან როგორც ვიცი, კარცერი სამარტოო საკანია და ვიფიქრებ, დავისვენებ... ჰო, „ქილერას“ უთხარი, სოციალური სამსახურის თანამშრომელი გამოუშვას, შიმშილობას ვაცხადებ იმ პერიოდში, რომელსაც კარცერში გავატარებ და ოფიციალურად გააფორმოს ეს ამბავი“, — უთხრა №0578-მა.

„არ გირჩევ შიმშილობის დაწყებას. ხომ გითხარი, შეეცადე, აქედან ცოცხალი წახვიდე“, — ისევ ურჩია ფაცაციამ, მაგრამ პატიმარმა თავი გადააქნია — „თქვენთვისაც უკეთესია. არც არაფერს დავწერ, არც ვიჩივლებ, უბრალოდ ვიშიმშილებ, რა. ორგანიზმიც გაიწმინდება და სულიც. ჰო, ადუღებული წყალი, თქვენ რომ ჩაის ეძახით, ეგ მომიტანონ ხოლმე, ნაწლავებს გავწმენდ მდუღარეთი“.

კარცერში ყოფნა დიდად სასიამოვნო არ იყო. როგორი საქმეა, სამ კვადრატულ მეტრში პატარა ნახვრეტი, რომელიც საპირფარეშოს ფუნქციას ასრულებდა, კედელზე აკეცილი ფიცარი, რომელსაც ღამის ათ საათზე ხსნიდნენ და ლოგინს ეძახდნენ, დილის რვაზე კი ისევ კეცავდნენ. მბჟუტავი შუქი და დაახლოებით ათი სანტიმეტრის დიამეტრის ფუღურო კედელში, საიდანაც თითქოს ჰაერი უნდა შემოსულიყო, თუმცა მინუს მეორე სართულზე ჰაერი აშკარად არ იყო. პირველი დღე მშვიდობით დაღამდა, მეორე დღეს კი გვერდით კამერაში ვიღაც პატიმარი შეაგდეს. №0578-მა კედელზე მიუბრახუნა, მაგრამ პასუხი არ მიუღია, მხოლოდ ყრუ კვნესა ესმოდა.

„ვინ არის?!“ — ჰკითხა დილით ოფიცერს, თუმცა პასუხი ვერ მიიღო. სამაგიეროდ, მერე, შუადღისკენ, კორიდორიდან ცოცხის ხმა მოესმა, მიხვდა „ქათამი“ ალაგებდა და გასძახა, აქეთ მოიწიეო.

„გვერდით ვიღაც პატიმარია, მთელი ღამე კვნესოდა, ვინ არის, ხომ არ იცი?!“

სანამ „ქათამი“ პასუხს მოასწრებდა, დერეფნის ბოლოში ყრუ ხმაური გაისმა და „ქათამმა“ საქმე გააგრძელა. №0578 ვერაფერს ხედავდა, თუმცა მწყობრი ნაბიჯების ფონზე ხვდებოდა, რომ დერეფანში მინიმუმ ექვსი კაცი მოდიოდა. გვერდითა საკანი გაიღო და რამდენიმე წამში პატიმრის ღრიალმა ცა გახია, თუმცა ღრიალი დიდხანს არ გაგრძელებულა, გმინვაში გადაიზარდა და მერე გმინვაც შეწყდა.

„უეჭველი, ჩემთანაც შემოვლენ“, — გაიფიქრა №0578-მა და საკანს თვალი მოავლო, თუმცა პლასტმასის ჭიქის გარდა ვერაფერი დაინახა. გვერდითა საკანი დაიკეტა და სტუმრები ისე წავიდნენ, სხვა კამერა არ გაუღიათ. №0578-მა ისევ „ქათამს“ დაუძახა.

„მე შენ გიცნობ, რომ ჩამოგიყვანეს, მაშინ დაგინახე. თუ გახსოვს, გარეთ, „სვაბოდაზე“, გვერდზე კორპუსში ვცხოვრობდი, მამაჩემი და მამაშენი ერთად მუშაობდნენ ქარხანაში“, — უთხრა „ქათამმა“ და №0578-იც მიხვდა, ვინ ესაუბრებოდა.

„ჰო, გაგიხსენე, მაგრამ... აქ რა გინდა? რა დააშავე ასეთი?!“ — გაოცდა №0578.

„მაგას მნიშვნელობა არ აქვს. ეს პატიმარი, გვერდით რომ გიზის, პოლიციელის მკვლელობაზეა. „სვაბოდის“ სპეცრაზმი დადის ამის საცემად ყოველდღე. კარანტინში ჰყავდათ, მაგრამ იქ ბევრი პატიმარია და ყველას რომ არ ენახა, იმიტომ გადმოიყვანეს კარცერში. ორივე ხელი მოტეხეს, საჭმელი სხვა პატიმარს უნდა ეჭმია, მაგრამ არ ჭამს“, — უთხრა „ქათამმა“.

„ხელები რაღაზე მოტეხეს?!“ — გაუკვირდა №0578-ს.

„რაც აქ ვარ, მესამე პატიმარია, რომელიც პოლიციელის მკვლელობისთვის მოიყვანეს. ის ორი ამაზე უარეს დღეში იყო და ორივემ თავი მოიკლა, ჩამოეკიდნენ რა, ვერ გაუძლეს. ახლა, ამან თავი რომ არ მოიკლას, ხელები დაამტვრიეს, მაგრამ არ ჭამს და მგონი შიმშილით აპირებს სიკვდილს. როგორი საქმეა, დილას და საღამოს რომ გცემენ“, — დაასრულა მოყოლა „ქათამმა“.

„რაა?! შენ ამბობ, რომ ესენი კიდევ მოვლენ დღეს?!“ — გაოცდა №0578.

„აუცილებლად. ნიღბებით შემოდიან, სპეცრაზმის ფორმაში, სცემენ და გადიან“.

„მარტო ამას სცემენ თუ სხვებსაც?!“ — დაინტერესდა №0578.

„არა, მარტო ამას. მეცოდება, მაგრამ რა ვუყო? საჭმელს არ ჭამს, სიგარეტი შემიძლია ჩუმად მივაწოდო, მაგრამ ვერ მონევს, ხელები აქვს დამტვრეული და...“

„რა და შე იდიოტო, მე არ მაქვს დამტვრეული და სიგარეტი მომიტანე. მიდი, გაანძრიე ერთი ადგილი“, — უთხრა №0578-მა და როცა „ქათამმა“ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო, გინებაც მიაყოლა: „შე სირო, რა გგონია, ამას გამოგართმევ? გაუხსნელი კოლოფის მოტანა თუ შეგიძლია, ის მომიტანე, თორემ შენი ნაქათმარი ხელებით მოწოდებულ ღერს არ გამოგართმევ“.

„ქათამი“ წავიდა, თუმცა სიგარეტი არ მოუტანია. სამაგიეროდ, საღამოს სპეცრაზმის წევრები ისევ მოვიდნენ და ხელებდამტვრეულ პატიმარს ისევ სცემეს. მოგვიანებით, კარცერში ფაცაციამაც ჩამოიხედა.

„ოლეგ, მოკლავენ ამ უბედურს და მერე თქვენი გასაპრავებელი იქნება. ეყოფა რაც უქნეს, დანარჩენს სასამართლო უზამს, იმდენ წელს მისცემს, თქვენ რომ გაგიხარდებათ და შეეშვით“, — უთხრა რეჟიმის უფროსს.

„მაგას არც მე მეკითხება ვინმე და არც შენ. ეს ერთი და მეორე — სიგარეტი და კაი ცხოვრება დაივიწყე, აქ კარცერია და კიდევ, როცა ამას სცემენ, შენ თუ კომენტარებს არ გააკეთებ და ყვირილს არ დაიწყებ, არ შემოვლენ. თუ არა და ამ კამერასაც გააღებენ და ინანებ. იმათ თქვეს, გვერდით კამერაში ვიღაც შფოთავს და ხომ არ დავაწყნაროთო. გასაგებია?!“ — უთხრა ფაცაციამ.

„კი არ ვშფოთავ, რამდენჯერმე კედელზე დავაბრახუნე, იმას რომ სცემდნენ“, — აუხსნა №0578-მა.

„ჰოდა, თუ არ გინდა, შენც დაგიბრახუნონ, გაჩერდი“, — უთხრა რეჟიმის უფროსმა და წავიდა.

„რატომ გაბოზდი? ფაცაციასთვის რამ გათქმევინა, №0578 სიგარეტს მთხოვსო?!“ — შეუტია პატიმარმა ნაცნობ „ქათამს“.

„არა, დედას გეფიცები... ძმის სულს გეფიცები, არ მითქვამს“, — ქათამი აშკარად გულწრფელი იყო.

„გამოდის, გვისმენენ, ანუ აქ მოსასმენი აპარატურა აყენია. ეს ნიშნავს, რომ ამ პატიმრის ღრიალიც ესმით“, — ჩურჩულით თქვა №0578-მა და გაჩუმდა.

ოთხი დღის შემდეგ ხელებდამტვრეული პატიმარი წაიყვანეს. როცა №0578-მა ქათამს ჰკითხა, სად წაიყვანესო, იმან ჩუმად თქვა, მორგშიო და კორიდორის დალაგება გააგრძელა.

* * *

თავისუფლებაზე №0578 და „ქათამი“ პატიმარი ერთმანეთს თითქმის ყოველდღე ხედავენ. ერთი ეგაა, მხოლოდ ხელის აწევით ესალმებიან ერთმანეთს. ციხიდან გამოყოლილ ჩვეულებას, „ქათამზე“ შეხება რომ არ შეიძლება, ვერც ერთი ვერ აბიჯებს.

ვერსიანიუსი

შსს-მ ქურდული სამყაროს წევრობის და გამოძალვის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდული სამყაროს წევრობის და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვის ბრალდებით, 1959 წელს დაბადებული მურად ს. და 1961 წელს დაბადებული ვასილ ჩ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები აღიარებდნენ ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებდნენ დანაშაულებრივი საქმიანობის განსახორციელებლად. კერძოდ, მუქარისა და დაშინების გზით, ინდივიდუალურ მეწარმეებს: უჩა ჩ-ს, გია დ-ს და თეიმურაზ გ-ს გამოსძალეს 10 000 ლარი. სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, გამოძალული სრული თანხა ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჯგუფურად გამოძალვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტით).

შსს-მ სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, მეორე სამმართველოს (ახალციხე) №7 სასაზღვრო სექტორის (სულდა) დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ნეპალის რესპუბლიკის მოქალაქეები — 1983 წელს დაბადებული კულ ბაჰადური კ. და 1979 წელს დაბადებული აჩიუტ ს. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ. გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

შსს-ს ბელგიის ფედერაციული პოლიციის ოპერატიული ანალიზის სამსახურის დელეგაცია ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამდღიანი ვიზიტით, ბელგიის ფედერაციული პოლიციის ოპერატიული ანალიზის სამსახურის წარმომადგენლები ეწვივნენ. დელეგაციის წევრებმა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ბელგიური მოდელი გააცნეს. შეხვედრას შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი დაესწრო. ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა არის თანამედროვე საპოლიციო საქმიანობის მოდელი, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს წამყვან სამართალდამცავ სტრუქტურებში და ხელს უწყობს დანაშაულის შემცირებას, მის პრევენციას და ზრდის გამოძიების ეფექტიანობას. ანალიტიკური საქმიანობის გაძლიერება და რისკების ადრეული შეფასების ეფექტიანი სისტემის დანერგვა წარმოადგენს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შს სამინისტროსადმი ევროკომისიის რეკომენდაციას. სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პრაქტიკაში ეფექტური განხორციელება. შეხვედრაში მონაწილე, შს სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლები ხელს შეუწყობენ უწყებაში ანალიტიკური საპოლიციო საქმიანობის მოდელის დანერგვას. ღონისძიების ფარგლებში, სტუმრები პოლიციის დანაყოფებს ეწვივნენ და საქართველოს შს სამინისტროში საგამოძიებო პროცესში ანალიტიკური საქმიანობის სპეციფიკას გაეცნენ. ვიზიტი ევროკავშირის და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ხორციელდება.

„ვერსიანიუსი“

პროფესორ დოდონა კიზირიას თანხმობით, „აფხაზეთის ხმამ“ თენგიზ კიტოვანთან, 1992 წლის 4 იანვარს ჩაწერილი ინტერვიუ გამოაქვეყნა. ინტერვიუმ დღის სინათლე პირველად იხილა. რესპოდენტს დოდონა კიზირია დიდუბის მეტროსთან კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მიტინგის სისხლიანი დარბევის შემდეგ ესაუბრა. კიზირიას განცხადებით, მას აქვს ამ ინტერვიუს აუდიოვერსია. ინტერვიუ შედგა ტელევიზიის სახლში, ოთახში, რომელიც დროებით კიტოვანის ოფისად ითვლებოდა. რადგან 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების სამართლიანი შეფასება დღემდე არ მომხდარა და რადგან დღემდე ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა დარჩენილი, ვფიქრობთ, „ვერსიის“ მკითხველისთვის ეს ინტერვიუ საინტერესო იქნება.

თენგიზ კიტოვანის აქამდე უცნობი ინტერვიუ

ინტერვიუს დაწყებამდე არაფერი მითქვამს მისთვის, რომ 22 დეკემბრიდან მოყოლებული ყველა მიტინგს ვესწრებოდი, ყოველ მეორე დღეს სასტუმრო „თბილისიდან“, სადაც შესვლა აკრძალული არ იყო, თვალყურს ვადევნებდი, როგორ გამოჰქონდათ ქაშვეთის ეკლესიიდან იარაღი და ტყვიები. ამიტომ საკმაოდ კარგად ვიცოდი, ვინ რა დაიწყო, ვინ სად იდგა და რამდენი „დახოცილი და მოკლული“ იყო რუსთაველზე მთავრობის სახლის წინ. ისიც ვნახე, როგორ მოიყვანეს ორი თუ სამი ქალი იქ ჩახერგილ ავტობუსთან, როგორ უთხრეს ერთ გვარდიელს, ავტობუსთან დაწოლილიყო, ვითომ დაჭრილი იყო და ეძახა: „მიშველთ! მიშველთ!“ მერე ვითომ იმ ექიმებმა თუ ექთნებმა უშველეს. ერთი მათგანი სიცილს ვერ იკავებდა. თუ ვინმეს ეს ფირი ნანახი აქვს, დააკვირდით, რამდენად „რეალისტურია“ ის ფარსი. მაგრამ მე მაინტერესებდა, თვით კიტოვანი რას იტყოდა. მისი სტილი ზუსტად არის დაცული, არავითარი შესწორებები. სასვენი ნიშნები, რასაკვირველია, ჩემი დასმულია. მსურველებს ან ურწმუნო თომებს შემიძლია წარვუდგინო აუდიოჩანაწერი.

დოდონა კიზირია: — ბატონო თენგიზ, როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანში შეძლებთ მთავრობის სასახლის აღებას?

თენგიზ კიტოვანი: — ჩვენ, რომ გითხრათ, არც ვაპირებთ მთავრობის სასახლის აღებას იმიტომ, რომ შეიძლება, მაგას მოყვეს ძალიან დიდი სისხლისღვრა. ჩვენ გვინდა, მაინც მშვიდობიანად გადაწყდეს ეს პრობლემები და ბატონმა ზვიადმა დათმოს თავისი პოზიციები. დროა, მე მგონი, რომ თვითონაც გონს მოეგოს სუყველა, რომ ეს ომი ბატონ ზვიადს წაგებული აქვს. წაგებული აქვს ძალიან მაგრად. მე არ ვიცი, მაგას ვინ აგულიანებს იქ, რომ ჩამოუვა რაიონიდან დამხმარე ძალები, „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“, ეგ მაგის სიმღერაა.

— ბატონო თენგიზ, აი, თქვენი სამხედრო აქციის დაწყება მთავრობის სასახლის წინააღმდეგ, ჩაფიქრებული იყო თუ მოულოდნელი, შემთხვევითი?

— ეს იყო სრულიად შემთხვევითი. ბატონ თენგიზს (სიგუას, — დ.კ.) აცილებდა დაცვა, 26-8 კაცი. ჰოდა, ის ბავშვები იწვნენ იქა, გაწიეს და გამოწიეს ეს ავტობუსები. აქედან შეერთება უნდა მომხდარიყო მიტინგის და, რაც ხალხმა მოითხოვა... ესე იგი, დილის რვა საათზე და ოთხ ნუთზე ზუსტად დაფიქსირებული იყო მთავრობის, ხელისუფლების დამცველებმა ცეცხლი გაუხსნა პირდაპირ, ესე იგი, ჩვენს ბავშვებს, მოქალაქეებს, მთლიანად, ვინც იყო იქ. დახოცილია ბავშვები მანქანებში, დაჭრილები, ქალები, თვითონ მილიციის თანამშრომლები. ამას მოყვა ნელ-ნელა ჩათრევა ძალების და იმის... თორემ საერთოდ არავინ არ აპირებდა ამ შტურმს და ამ დაბომბვებს და იმან... ესე იგი, ეს მოხდა და, მე როგორც ვიცი, ბატონი ზვიადი წინა ღამეს ელაპარაკა, ესე იგი, მარშალ შაპოშნიკოვს და თხოვა დახმარება იმისი, რომ ჯარი დადგომოდა გვერდზე. დილა რომ დაიწყო, ალბათ იმედი ჰქონდა, რომ დაეხმარებოდა, მაგრამ დილას მიიღო უარი. მაგ უკვე ჩათრეული იყო და უკან გამოსვლა აღარ შეიძლებოდა და... იმიტომ რომ ბევრი ხალხი იყო დახოცილი და დაჭრილი.

— გავიგე ასეთი ბრალდება, რომ თქვენი ჯარისკაცების შემადგენლობაში არიან დაქირავებული არაქართველები, რუსები, შუაააზიელები და ასე შემდეგ. რას იტყოდით ამაზე?

— თუ თქვენ ერთ რუსს ნახავთ ან შუაააზიელს, მე დავშლი დიდი სიამოვნებით გვარდიას.

(აქ პატარა გადახვევას გავაკეთებ. 7 იანვარს იმავე ტელევიზიის სახლში ინტერვიუ ავიღე თენგიზ სიგუასთან, მგონი, მეორე სართულზე, ჰოლში. ოთახში ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ მისი მცველი ჩრდილოკავკასიელები, რომლებიც მხოლოდ რუსულად ლაპარაკობდნენ. ერთ მათგანს, მისი სიტყვით, მეცხვარეს, ბედნიერი ღიმილით და საქმის ცოდნით, ეარშიყებოდა ერთ-ერთი ცნობილი პუტჩისტკა. არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ სხვა არ ვიცი, რა ვიხმარო ამ შემთხვევაში, — დ.კ)

— ბატონო თენგიზ, გუშინდელი დიდუბის მიტინგი თქვენი ბრძანებით დაშალეს თუ ვინმე ზემდგომი პირის?

— ეს იყო, სხვათა შორის, პროვოკაცია იგივე მილიციის თუ აი, იმ ბრონირებულ მანქანის, რომელსაც გადააქვთ, ესე იგი, ფული და ოქროულობა, იმ მანქანიდან დაიწყეს სროლა. სხვათა შორის, ეგეთი მანქანა მე არა მყავს. ეს ყავს სპეციალურ სახელმწიფო ორგანოებს. იქედან დაიწყო პირდაპირ ცეცხლი. ამან გამოიწვია, ესე იგი, შეტაკება იქა, თუ ვინც იყო იქა, მოედანზე. ყველა ნახავდა. რომ ბრონირებული მანქანიდან... არ ვიცი. მე მგონი, რომელიღაც პრეფექტის ან იმის თანხლებით დაიწყეს, ესე იგი, მომიტინგეების სროლა. ამან გამოიწვია, კიდევ ერთხელ, პროვოკაცია, რათა შეელახათ სახელი ოპოზიციისათვის — ნახეთ, ოპოზიცია როგორ შლის მიტინგებს. მით უმეტეს მიტინგები და... ის აკრძალული გვაქვს დროებით, რადგან საკომენდანტო საათია გამოცხადებული თბილისში და მთლიანად საქართველოში.

— ესე იგი, ამ მიტინგის ადგილზე წინასწარ იყვნენ გაგზავნილი ჯარისკაცები, რათა დაეცვათ წესრიგი?

— არა, იყვნენ გაგზავნილი მეთვალყურეები, რათა ეთვალთვალათ, როგორ მიდიოდა მიტინგი. მიტინგის ჩაშლას და დარბევას არავინ აპირებდა, მარა, აი, ის მანქანა, რომელმაც გააკეთა პროვოცირება... ტანკის მანქანა, ვიტყოდი მე, რომელსაც საკმაოდ სქელი კედლები აქვს და ბრონირებულია... აი, იმან დაიწყო ყველაფერი. დაფიქსირებულია პლიონკაზე და ალბათ ჩვენი მოსახლეობა ნახავს ზუსტად, ვინ დაიწყო და როგორ დაიწყო.

(აქაც მოკლე გადახვევას გავაკეთებ. გინახავთ ის „პლიონკა“? საბედნიეროდ, ეს სურათი ერთმა ინგლისელმა ოპერატორმაც გადაიღო — მხედრიონელები რომ თამაშ-თამაშით ესვრიან პირდაპირ უიარაღო ხალხს, როგორ კვდება კამერის წინ ერთი სულ ახალგაზრდა ბიჭი და რას ლაპარაკობს შემდეგ კადრში მისი უბედური დედა. თუ არა, უსათუოდ მოიძიეთ და ნახეთ. ეს ჩვენი ისტორიაა, — დ.კ.)

— არის თუ არა მოსალოდნელი, რომ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი ძალები თბილისში და სხვა რაიონებში გაუწევენ სამხედრო წინააღმდეგობას თქვენი გვარდიის წარმომადგენლებს?

— რასაკვირველია, არის ეგ საშიშროება და არის კიდევაც და ეწინააღმდეგებიან... ესე იგი, უფრო მეტი დასავლეთ საქართველოს მეგრული ძალის წარმომადგენლები არიან, რომლებსაც გონიათ, რომ, თუ ბატონი ზვიადი გადადგა, სამეგრელოს რაღაც საშინელება ელის... ისეთი... ისა... ნუ არიან ფანატიკები, რასაკვირველია, მაგრამ ცოტა. ეგენი დიდხანს ვერ იფარფაშებენ... უფრო სწორად, ჩვენ მოვუწოდებთ მაგათ წესრიგისკენ. მილიციის სკოლა და 98% მილიციონერები, 17-ათასიანი ჯარი გადმოსულია ჩვენს მხარეს... მხარს უჭერს სუყველაფერს... საერთოდ ქართველ ხალხს მობეზრდა უკვე ამდენი ომი და ამდენი მიტინგები და... მე მგონი, რომ საქართველოში უნდა აღდგეს წესრიგი და დაიწყოს ნორმალური ცხოვრება, როგორც ჭირდება ქართველ ერს. ყველას უნდა, რომ ხალხი თავისი ბავშვებით გარეთ გამოდიოდეს, შეწყდეს ყოველგვარი ყაჩაღობა, მძარცველობა, ძალადობა და... აი, ესენი ხდება და მოვუწოდებთ სუყველას... ალბათ დიდხანს, დიდხანს მოგვიწევს მაგასთან ბრძოლა, რომ ამოღებული იქნას ამდენი იარაღი, ჩაბარებული იქნას სახელმწიფო საწყობებში, რომელიც მაგათმა დაურიგეს... უმისამართოდ არიგებდნენ ამ იარაღებს ჩამოსულებშიც, ადგილობრივებშიც. დღესაც ჩვენ ბავშვებს (ანუ, მოთარეშე მხედრიონელებს და გვარდიელებს — შენიშვნა ჩემია, — დ.კ) ხოცავენ და... მით უმეტეს, ამდენი ყაჩაღობა, სულ რაიონებიდან ჩამოსული ხალხი. საერთოდ, ძალაუნებურად, რაიონებიდან ჩამოსული ხალხი დარჩა უპატრონოდ, მშიერი, მწყურვალი და იძულებული ხდება იყაჩაღოს თბილისში. სახლი არა აქვს, კარი არა აქვს და გამოკიდებული არის ჰაერში. წარმოიდგინეთ, რომ როგორ უნდა გაძლოს ამათმა. ლოგიკური ახსნაც არი, სხვანაირად არ გამოვა.

თბილისელი წავა, დაწვება სახლში, მაგრამ ჩამოსულ ხალხს არაფერი გააჩნია. აი, თუ გახსოვთ, ასეთი იყო, რომ... თავის დროზე გაიხსნა პროფტექნიკუმები და რამდენი... ესე იგი, აღმოჩნდა რო, ჩამოსული ხალხი, რომელიც მშობლებმა გამოაგზავნეს სასწავლებლად აქა და არ ყოფნიდათ საჭმელი და იმაზე და... ეგენია ზუსტად დღეს, ეგენია... ოღონდ დღეს მსხვილ მასშტაბში გამოიზარდა. აი, მთლიანად... ესე იგი, დანაშაულებრივი დონე გაიზარდა.

(აქაც არ შემიძლია კიდევ ერთი გადახვევა არ გავაკეთო. ალბათ ზოგიერთს მაინც ახსოვს, რა დღე დააყენეს სამეგრელოს — ძარცვა, გაუპატიურება, მკვლელობა. შევარდნაძემ მადლობის ნიშნად ჯაბა იოსელიანის ბანდიტებს გზა გაუხსნა და სამეგრელო სანადირო ადგილად გადააქცია. ექვსჯერ დაილაშქრა ჩვენი ულამაზესი მხარე. არაერთი ფირი მინახავს გადამწვარი სახლებით, უპატრონო ბავშვებით.

29 სოფელი მინასთან გაასწორეს. ისინიც და გვარდიელებიც სამეგრელოსა და აფხაზეთში საძარცვავად მიდიოდნენ. ეს ამბავი ერთმა რადიოკომენტატორმა კისკისით მოგვახსენა — ჩვენი გმირები ცარიელი მანქანებით მიდიან ფრონტზე და იქედან სავსე მანქანებით ბრუნდებიანო. ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, ვიღაცის მონაყოლს არ გეუბნებით. ეგებ ვინმეს ის ფირიც აქვს ნანახი, სადაც მხედრიონელები გატაცებულ გვამებს ოჯახებს უბრუნებდნენ ფულის გადახდის შემთხვევაში. ერთმა კადრმა განსაკუთრებით შემზარა. ერთი გვამი უკვე ჭიებით იყო დაფარული, რადგან ოჯახმა მოთხოვნილი თანხის შეგროვება დროზე ვერ მოახერხა. კიდევ ერთ რამეს შევესწარი, დავინახე და მოვისმინე; თბილისში, ქუჩაში ერთი ქალი მეორეს ეუბნებოდა, ჩემმა ბიჭმა ისეთი ვეში (ანუ ნივთები, — დ.კ) ჩამოიტანა, ისეთი, რომ გულს გაგიხარებსო. რაც შეეხება იარაღის დარიგებას, ჩემივე თვალით ვნახე, გვარდიელები მოვიდნენ ორი მანქანით, ასწიეს საბარგული და შესძახეს იქ მდგარ ბიჭ-ბუჭებს — ვის გინდათ, იარაღი? მოდით, წაიღეთო. იქ კი ყველა ოპოზიციის მხარდამჭერი იდგა).

— პროვინციიდან ჩამოსულ ხალხს არა აქვს იარაღი, თქვენ ბრძანეთ?

— აქვს იარაღი. სპეციალური იყო ისეთი, წითელ-ვარდისფერ იმაზე იყო — „ეძლევა უფლება ტარება იარაღის“. აი, ასეთი პატარა ცნობები და... ისინი შეიარაღებულები იყვნენ, რახან გაემაგრებიათ, ესე იგი, ზვიად გამსახურდიას პოზიციები და იარაღით დაეცვათ პრეზიდენტი.

— აპირებთ თუ არა, გამოსცეთ ბრძანება იმისა, რომ ხალხმა ჩააბაროს იარაღი, მათ, ვინც არ არის მილიციაში და გვარდიაში? (მაინტერესებდა, თუ იტყოდა რამეს მხედრიონზე, — დ.კ.)

— რასაკვირველია. ეს ბრძანება იქნება. ალბათ, ცოტა ხანში და მოვუწოდებთ მოსახლეობას... ესე იგი, რომ არ ღებულობს მონაწილეობას კონფლიქტურ სიტუაციაში, არ არის არც ერთი იმის მომხრე თუ ამის მომხრე, თუ არ არის გარეული, ესე იგი, დაპირისპირებაში, ისინი, რასაკვირველია, ჩააბარონ იარაღი.

— სხვა ოპოზიციური პარტიები არიან თქვენს წინააღმდეგ დაპირისპირებული? სხვა ოპოზიციური პარტიები, არა „მრგვალი მაგიდა“.

— მე არა მგონია, ჯერ ვინმე იყოს დაპირისპირებული, არც „მრგვალი მაგიდა“, არც იმიდან... მაგათთან მე არა მქონია საუბარი და... საერთოდ, სამხედროები პოლიტიკაში არ ერევიან. არც ვერევით ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებაში მაგათთან. ჩვენ ვიცავთ.

— როგორ ვარაუდობთ, რამდენი ხანი გასტანს ასეთი განსაკუთრებული საკომენდანტო საათი და მოსახლეობის ასეთი კონტროლი თბილისში?

— როგორ გითხრათ, უმოკლეს ხანაში ვაპირებთ სუყველაფერს. როგორც გადადგება ბატონი ზვიადი, იმ წუთში... ესე იგი, სუყველაფერი ძალაუფლება გადაეცემა დროებით მთავრობას. პარლამენტი დაიწყებს მუშაობას ახალ არჩევნებამდე. მერე ჩვეულებრივად წავა ცხოვრება, როგორც იყო...

„აფხაზეთის ხმა“

იანვარ-სექტემბერში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის ექსპორტი 44%-ით შემცირდა

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის ექსპორტი 44%-ით არის შემცირებული.

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის 9 თვის ექსპორტის შესახებ მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2015 წლის განვლილი 9 თვის განმავლობაში, საქართველოდან მსოფლიოს 41 ქვეყანაში ექსპორტირებულია 24 071 200 ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც თანხობრივად 66,8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სექტემბერში მიმდინარე წლის ყველა განვლილ თვესთან შედარებით, ყველაზე მაღალი ექსპორტი დაფიქსირდა — 4 235 132 ბოთლი. შედარებისთვის: იანვარში ექსპორტირებული იყო 1 343 018, თებერვალში — 1 558 631, მარტში — 2 198 535, აპრილში — 2 878 656, მაისში — 2 476 567 ბოთლი, ივნისში — 3 251 246, ივლისში — 3 094 894, აგვისტოში — 3 050 265.

„საანგარიშო პერიოდის მონაცემებით, ექსპორტის მატებაა ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორიცაა ჩინეთი — 90%, სადაც ექსპორტირებულია 1,5 მლნ ბოთლზე მეტი. ჩინეთი ქართული ღვინის ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში მეოთხე ადგილს იკავებს რუსეთის, ყაზახეთისა და უკრაინის შემდეგ. ექსპორტის ზრდა ფიქსირდება ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში: პოლონეთი 1% (1 112 118 ბოთლი), ლატვია — 8% (831 906), ესტონეთი — 32% (339 912), ლიტვა — 6% (437 850), გერმანია — 14% (189 054), ნიდერლანდები — 146% (38 844), საფრანგეთი — 119% (28 638). ასევე აღსანიშნავია ექსპორტის ზრდა ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორიცაა აშშ — 39% (181 937), იაპონია — 33% (112 226), კანადა — 69% (135 012), ექსპორტი აგრეთვე გაიზარდა ყირგიზეთში — 83% (117 840), ჰონგ-კონგში — 8% (26 834), ისრაელში — 163% (28 440), კორეაში — 221%(24 054) და სხვა“.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეული ასე გამოიყურება: რუსეთი — 12 508 086, ყაზახეთი — 3 442 296, უკრაინა — 2 149 471, ჩინეთი — 1 517 843 და პოლონეთი — 1 112 118 ბოთლი.

„რეგიონში არსებული ცნობილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების გამო, 2 უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანაში — რუსეთსა (-55%) და უკრაინაში (-62%) ექსპორტის მკვეთრმა კლებამ, გავლენა იქონია 9 თვის ექსპორტის საერთო მაჩვენებელზე, რომელიც 2014 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 44%-ითაა შემცირებული. ამასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში 17 ქვეყანაში ექსპორტირებულია 4 483 702 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც თანხაში 11,8 მლნ აშშ დოლარს აღწევს“.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია ასევე 97 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა (372 ათასი აშშ დოლარი).

„მთლიანობაში ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინომასალის, ჩამოსასხმელი ბრენდისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-სექტემბრის მდგომარეობით 100 მლნ აშშ დოლარს მიაღწია“.

„ინტერპრესნიუსი“

აფრიკის დასახლებაში შინაური ცხოველების სასაფლაო მოეწყობა

აფრიკის დასახლებაში, „ველის სასაფლაოს“ მიმდებარედ, შინაური ცხოველების სასაფლაო მოეწყობა. შპს „ჰერმესის“ დირექტორის, მიხეილ ძაგანიას განმარტებით, **„ცხოველების გვამების გაუვნებლობა აქამდე ე.წ. ბეიკერის ორმოში ხდებოდა. მაწანწალა და უპატრონო ცხოველების დაძინებას ახდენს თბილისის მერიის ცხოველთა მონიტორინგის სამსახური. 35 000 რეგისტრირებული ძაღლია ოფიციალურად ქალაქში, რომლებსაც ჰყავთ პატრონები და მათი მოთხოვნაა, ოთხფეხა მეგობრისთვის არსებობდეს ინდივიდუალური სასაფლაო“.**

„ველის სასაფლაოზე“ გამოიყოფა სპეციალური ადგილი, სადაც მოსახლეობას შინაური ცხოველების დამარხვის შესაძლებლობა მიეცემა. სურვილისამებრ, შესაძლოა, დაიდგას საფლავის ქვებიც, ფოტოებით. სავარაუდოდ, ამ საკითხს, მთავრობის სხდომაზე უახლოეს მომავალში გაიტანენ.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოში შიდსით 5250 ინფიცირებულია!

რაზომ გაიზარდა დაავადებულთა რიცხვი, ვისთვისაა აუცილებელი აივტესტის ჩატარება და რა შემთხვევაში მკურნალობენ უფასოდ პაციენტებს

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

აივ ინფექცია, შიდსი — ეს დაავადება წლებია მსოფლიო მოსახლეობას უტევს. სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს პრეპარატი, რომელიც მისგან საბოლოო განკურნებას უზრუნველყოფდა. მიუხედავად ამისა, აქამდე, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა მეტნაკლებად, მშვიდად უყურებდა ამ პრობლემას, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში დაავადების მაღალი მაჩვენებელი თითქოს არ ფიქსირდებოდა. დღეს მკაცრი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით — მიმდინარე წელს 552 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა და ეს სიმშვიდის საფუძველს ნამდვილად არ გვაძლევს. რამ გამოიწვია ინფიცირების მაჩვენებლის ზრდა? „ვერსიას“ ექიმი-ეპიდემიოლოგი, მაია ცინცაძე ესაუბრება.

— ექიმებისგან განსხვავებით, მოსახლეობა აქამდე მშვიდად იმიტომ იყო, რომ პრაქტიკულად, პრობლემა არ შუქდებოდა. არადა მდგომარეობა არც ისე დამამშვიდებელია: მიმდინარე წელს 552 ახალი შემთხვევაა დაფიქსირებული, რაც შესაბამის პერიოდთან შედარებით, დაახლოებით 130-ით მეტია... მხოლოდ სექტემბერში 82 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. ჯამში კი, პირველი ოქტომბრის მდგომარეობით, 5250 პაციენტია რეგისტრირებული.

— ქალბატონო მაია, თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდა იმ ფონზე, რომ გამუდმებით აპელირებენ ნარკომანიის შემცირებაზე...

— უდავოა, გადაცემის გზებს შორის პირველ ადგილზეა ნარკოტიკების მოხმარება, მაგრამ, თუ ბოლო წლების სტატისტიკას გადავხედავთ, უკვე ლიდერობს სქესობრივი გზით დაინფიცირების შემთხვევები, როგორც ჰეტერო, ასევე ჰომოსექსუალური კავშირებით. აქედან გამომდინარე,

შეიძლება გარკვეული დასკვნა გავაკეთოთ — ნარკოტიკების ინექციურმა მომხმარებლებმა შეცვალეს რისკქცევა და ისწავლეს ერთჯერადი შპრიცის, ნემსის, სხვა ატრიბუტების... გამოყენება მაშინ, როდესაც უფრო რთული მდგომარეობაა სქესობრივი კონტაქტის შემთხვევაში, დაუცველი კონტაქტები ხშირია და ეს ხელს უწყობს ინფექციის გავრცელებას.

— ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება ინფორმაციის ნაკლებობითაა განპირობებული თუ მოსახლეობა ბოლომდე ვერ აცნობიერებს სავალალო შედეგებს?

— ორივე ფაქტორი მნიშვნელოვანია... ბევრს უთქვამს, მეგონა, შიდსი არასოდეს დამემართებოდაო, მაგრამ რეალობა ბევრად მკაცრია. ასეთ დროს კი, მხოლოდ ექიმები ვერაფერს გავხდებით, უნდა ჩაერთოს საზოგადოება, მასმედია, სისტემატურად უნდა ხდებოდეს ინფორმაციის მიწოდება.

— თუმცა აქ კიდევ ერთი ბარიერია — ბევრი აივტესტს შიში გამო არიდებს თავს, რადგან დადებითი პასუხის შემთხვევაში, ეშინია, რომ საზოგადოებისგან გარიყული აღმოჩნდება...

— ეს ფაქტორი უდავოდ არსებობს... ვინც გაამხილა თავისი სტატუსი, გარშემომყოფებთან ურთიერთობაში დისკომფორტი შეექმნა, რადგან ხშირად ადგილი აქვს ამ დაავადებასთან დაკავშირებულ სტიგმას და ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. ამ ადამიანებს, გარდა ჯანმრთელობის პრობლემისა, აქვთ პრობლემები უფლებების დაცვის სფეროში.

აივინფექციის დიაგნოზი დაკავშირებულია როგორც სოციალურ, ასევე ფსიქოლოგიურ პრობლემებთან და ამას ემატება საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება. ბევრს ჰგონია, რომ აივინფიცირებულთან არ უნდა შევიდეს ურთიერთობაში და ეს იმიტომ ხდება, რომ არ აქვთ ინფორმაცია დაავადების შესახებ, არ იციან, რომ ის არ გადაეცემა აირწვეთოვანი გზით, საყოფაცხოვრებო თუ სოციალური კონტაქტებით... ანუ, ამ ადამიანებთან ურთიერთობა საშიში არ არის, გარდა დაუცვლი სქესობრივი კონტაქტისა და არასტერილური საზიარო სამედიცინო იარაღებით სარგებლობისა.

სხვა მხრივ ისინი საზოგადოებას საშიშროებას არ უქმნიან... გარდა ამისა, ჩვენთან აბსოლუტურად დაცულია კონფიდენციალობა და ინფორმაცია პაციენტების შესახებ უცხო პირთათვის ხელმიუწვდომელია. ასე რომ, ხელი უნდა შევუწყოთ, დროულად მოხდეს მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებაში და ჩატარდეს დროული მკურნალობა.

— რაც თანხებთანაა დაკავშირებული...

— არსებობს შიდსის პროფილაქტიკისა და მკურნალობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აბსოლუტურად უფასოდ ვემსახურებით საქართველოს მოქალაქეებს. ამ პროგრამის ფარგლებში, უფასოა პირველადი გამოკვლევა, კონფირმაციული, ყველანაირი ინსტრუმენტული თუ ლაბორატორიული გამოკვლევები, მკურნალობა... ამაში ასევე გვეხმარება შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი...

— დროული მკურნალობის შემთხვევაში გამოჯანმრთელების რა შანსი აქვს პაციენტს?

— სამწუხაროდ, საბოლოო განკურნება აქ არ მიიღწევა, თუმცა, თუ გავიხსენებთ 15 წლის წინანდელ პერიოდს, მაშინ ამ წამლებზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა... მკურნალობის არანაირი საშუალება არ გვქონდა და ვირუსმატარებელს ვეუბნებოდით — სანამ თქვენი იმუნური სისტემა „იმუშავებს“, პრობლემა არ გექნებათო. რეალურად კი, ვერაფრით ვეხმარებოდით. ფაქტობრივად, შიდსის დიაგნოზი სასიკვდილო განაჩენი იყო, მაგრამ თანამედროვე ანტივირუსულმა პრეპარატებმა მოგვცა მკურნალობის საშუალება, დროული მკურნალობის შემთხვევაში დღეს შიდსით არ იღუპებიან და თერაპიას ასრულებულ ოცნებას ვეძახი.

— რა სიმპტომები ახასიათებს ინფექციას?

— შეიძლება ორი ჯგუფი გამოვყოთ: ერთი, რომელსაც ახასიათებს აივინფექციის სიმპტომები — არამოტივირებული ცხელება (რომელიც ორ კვირაზე მეტხანს გრძელდება), სხეულის მასის კლება 10 და მეტი პროცენტით (რაც არ არის დაკავშირებული დიეტასთან), ლიმფური კვანძების გადიდება, ფაღარათი (რომელიც არ არის დაკავშირებული კვებით ინტოქსიკაციასთან), გამონაყარი კანზე ან ლორწოვანზე, ფილტვების ანთება (როცა ჩატარებული მკურნალობა არაეფექტურია), ასევე სასურველია ყველა ონკოპაციენტი გამოკვლეული იყოს აივინფექციაზე;

მეორე ჯგუფში კი შედიან ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლები და მათი სქესობრივი პარტნიორები; ვისაც ხშირად აქვს დაუცველი სქესობრივი კონტაქტი; ვინც ხშირად იტარებს სტომატოლოგიურ, ქირურგიულ, გინეკოლოგიურ მანიპულაციებს; ვისაც გაკეთებული აქვს ტატუირება, პირსინგი... ვისაც ჰქონდა ან აქვს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, ტუბერკულოზი, ვირუსული B და C ჰეპატიტიები... მათ აუცილებლად უნდა ჩაიტარონ აივტესტი დიაგნოზის გამოსარიცხად.

საცხოვრებელი კომპლექსი „m² ნუცუბიძეზე“ დასრულდა

ბინებზე მოთხოვნა დიდია. „m² ნუცუბიძეზე“ საცხოვრებელ კომპლექსში ბინების უმეტესობა გაყიდულია და მხოლოდ 25 ბინა ელის მომავალ მფლობელს“.

ირაკლი ბურდილაძემ, კომპლექსის წარდგენისას, ყველა იმ ადამიანსა თუ ორგანიზაციას გადაუხადა მადლობა, რომელმაც აღნიშნული პროექტის სწრაფად და ხარისხიანად დასრულებაში მიიღო მონაწილეობა. მათ შორის კი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) და კანადის მთავრობა, რომლებმაც საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის თანხა გამოყვეს.

IFC-ის წარმომადგენელმა **იან ვან ბილსენმა** განაცხადა, რომ კორპორაცია „m² უძრავ ქონებასთან“ თანამშრომლობით კმაყოფილია და მომავალშიც დააფინანსებს პროექტებს: **„IFC გახლავთ მსოფლიო ბანკის კერძო სექტორზე ორიენტირებული ფრთა, რომელიც აფინანსებს კერძო სექტორის კომპანიებს იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა მზარდია. ეს პროექტი მშვენივრად ჯდება ჩვენს სტრატეგიაში — ხელი შეუწყოს კერძო სექტორის ზრდას. მითუმეტეს, იმ ფონზე, რომ ეს გახლავთ ენერგოეფექტური მშენებლობა და კომპანია, საბოლოოდ, მომხმარებელს სთავაზობს ცხოვრებისათვის კომფორტულ გარემოს. ჩვენ ვმუშაობთ m²-თან ახალი პროექტების დაფინანსებაზეც, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კმაყოფილები ვართ კომპანიის საქმიანობით და ხარისხით“.**

ირაკლი ბურდილაძის განმარტებით, m²-ის ახალ პროექტში, საცხოვრებელ კომპლექსში „m² იპოდრომთან 2“, ოფიციალური გაყიდვები დაიწყო. წინასწარი გაყიდვების პროცესი წარმატებით წარიმართა. „ m² იპოდრომთან 2“-ის მშენებლობა ოქტომბრის ბოლოს დაიწყება.

ნინო ლურსმანაშვილი

დეველოპერულ კომპანიას „m² უძრავი ქონება“ უკვე ტრადიციად ექცა პროექტების დათქმულ ვადაზე ადრე დასრულება. ასე მოხდა „m² ნუცუბიძეზე“ საცხოვრებელი კომპლექსის შემთხვევაშიც — სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილზე ერთი თვით ადრე დასრულდა, ბინების დიდი ნაწილიც გაიყიდა და მალე ახალ, გარემონტებულ და კომფორტულ ბინებში, მეპატრონეებიც გადავლენ.

სანამ უშუალოდ ბინების შესახებ გიამბობთ, გეტყვით იმას, რომ „m² ნუცუბიძეზე“ საცხოვრებელი კომპლექსის ერთ-ერთი მთავარი ხიბლი მისი მოსახერხებელი მდებარეობაა — კომპლექსი მეტრო ვაჟა-ფშაველადან 300 მეტრის მანძილზეა და მას, საავტომობილო გზა, სამი მხრიდან უდგება. „m² ნუცუბიძეზე“ საცხოვრებელი კომპლექსი ენერგოეფექტურია. ყველა ბინა დათბუნებულია, რაც იმის საშუალებას მოგცემთ, რომ კომუნალური ხარჯები დაახლოებით 23-25%-ით შეამციროთ. რა თქმა უნდა, კომპანიამ ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და ყველა ბინა დასრულებული რემონტით ბარდება, თითოეულ მათგანში კი, მობინადრეებს, დახვდებათ იტალიური სამზარეულო ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით.

საცხოვრებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურაც საინტერესოა — ორსართულიანი ავტოსადგომი 86 ავტომანქანისთვისაა განკუთვნილი, შიდა ეზოში დიდი სპორტული მოედანი, მოსასვენებელი და საბავშვო ზონებია. კომპლექსს ასევე აქვს 24-საათიანი დაცვა და სადარბაზოების დასუფთავებისა და გამწვანების მოვლის მომსახურება, რის საფასურსაც ახალმოსახლეთათვის ერთი წლის განმავლობაში კომპანია დაფარავს. საცხოვრებელი კომპლექსი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის — პირველად საქართველოში შენობაში დამონტაჟდა ცნობილი ფინური ბრენდის KONE ლიფტებით, რომლებიც აღჭურვილია ქართული ხმოვანი შეტყობინებით.

და კიდევ ერთი ნოვაცია, რომელიც ბინის ძებნისას არჩევანის გაკეთებაში ალბათ აუცილებლად დაგეხმარებათ — კომპანია „m² უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის **ირაკლი ბურდილაძის** განმარტებით, დამატებითი უსაფრთხოების მიზნით, „m² ნუცუბიძეზე“ აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების მქონე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. **„ამ კომპლექსის გამორჩეული თავისებურება, ენერგოეფექტურობასთან ერთად გახლავთ ის, რომ აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას ხანძრის შემთხვევაში და იცავს კომპლექსის მოსახლეობას სერიოზული გართულებებისგან — სპეციალურ ოთახში დამონტაჟებული სპეციალური ტუმბოები წყალს აწვდის ჰიდრანტებს, რომლებიც ყველა კიბის უჯრედშია. ყველა კიბის უჯრედში ასევე არის ცეცხლმაქრები, შესაბამისი აპარატურით და ყველა კორიდორში — ცეცხლგამძლე კარი. საცხოვრებელ კომპლექსში 221 ბინაა. მფლობელებს შესაძლებლობა აქვთ პირდაპირ გადავიდნენ საცხოვრებლად მათი მოთხოვნების შესაბამისად გარემონტებულ ბინებში. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენ**



1. ჯარის გადასხმა მოწინააღმდ. ტერიტორ.
2. ზღვა არქტიკის ოკეანეში
3. მშობელი
4. ქართველ ქალთა ცეკვა
5. თბილისის მერი
6. ბალახოვანი ბოსტნეული
7. ამირანის ერთ-ერთი ძმა
8. ფერმა აშშ-ში
9. მომკილი ქერის ღეროები
10. თბილისის უბანი
11. ირანის შაჰის ბრძანებულება
12. ინდიელთა ტომი
13. სატელევიზიო გადამცემი მილაკი
14. გეომეტრ. სხეული
15. სუსტი ქარი
16. ძალის დაკარგვა, ძლიერი სისუსტე
17. მთა ჩაქვის ქედზე
18. შლამის თევზი
19. აბანოები ძველ რომში
20. სევდა, გამოწვეული სამშობ-ლოში დაბრუნების შეუძლებლობით
21. ყველაზე დიდი ქვეწარმავალი
22. ამსტერდამის საფეხბურთო კლუბი
23. უალ-კოჰოლო გაზიანი გამაგრილებელი სასმელი
24. იემენის დედაქალაქი
25. „ღამის“ ლირიკული მუსიკალ. პიესა
26. მტკვრის უდიდესი შენაკადი
27. დათა თუთაშხიას სამოქალაქო ფსევდონიმი
28. ზრდილო-ბიანი დასტური
29. საყანედ გაკაფული ტყე
30. ჩეხური წარმოშობის საბალო ცეკვა
31. ინდონეზიის კუნძული
32. ნესვის ხის ნაყოფი
33. იეზუიტთა ორდ. დამარსებელი
34. ქართული მინერალ. წყალი
35. ქალაქი იტალიაში
36. ინგლისური ხურდა ფული
37. პოეტი ფედერიკო გარსია ...
38. ბრიტანული ოქროს ფული
39. პირველი მუსიკალ. ინტერვალი
40. ანტიკური კავალერია
41. სახოტბო ლექსი
42. უსინათლო ადამიანი
43. ქალიშვილისადმი მიმართვა მთიულეთში
44. მწერალი ... ჩიანელი
45. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
46. „ბითლზის“ ლიდერი
47. ნაცისტური გერმანიის ავიაციის მინისტრი
48. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
49. სამკურნალო მცენარე
50. ხეჩოს გულის „ცენტრალნაია“
51. მუსიკალური გამის III ნოტი
52. სოფელი ყაზბეგის რაიონში
53. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში
54. გიტარის მავთული
55. მარიტას ბებია
56. ბუდიზმის დამაარსებელი
57. სინათლე ბავშვის ენაზე
58. (ძვ.) ჯარი, ლაშქარი
59. ვერდის ოპერა, რომელიც სუეცის არხის გახსნას მიეძღვნა
60. გემის ტვირთი
61. მექანიკური მუშაობის ერთეული
62. გადაჭარბებული თავმოყვარეობა
63. ნაგებობა გემების მისადგომად
64. ხის ცხენით დაპყრობილი ქალაქი

1. ნადირობის წესების დამრღვევი
2. დიდი ძველე-ბური ფიგურული შანდალი რამდენი-მე სანთლისთვის
3. უბის წიგნაკი შენიშვნების ჩასაწერად
4. სამკურნალო მცენარე
5. „ცხოველების ფერმის“ ავტორი
6. დიდი ხვლიკის სახეობა
7. საზომი ხელსაწყო
8. ქალაქ ანკარას ძველი სახელწოდ.
9. შეკვიბრება მოკლე ხელშუბებით სროლაში
10. იგივეა, რაც ჭაღი
11. ჰავაის დედაქალაქი
12. სახელმწიფო აფრიკაში
13. სახის მიმიკის მოშლა
14. ლომი სიმბას სატრფო
15. დოქის მეუღლის ტიტული
16. პუდელი „პურატინოს თავგადასავალში“
17. ლათინური ანბანის ასო
18. ავი სული ყურანში
19. იაპონელი მწერალი კობო ...
20. „ღმერთების მამა“ შუმერულ მითოლოგ.
21. ფრთოს. მწერის განვითარების სტადია
22. მძიმედ შეარადებული კავალერისტი
23. ლიტერატურული ჟანრი
24. წამლის ბურთულა
25. უმაღლესი ხელისუფლ. ორგანი ძველრომში
26. მხატვრების საყვარელი ქუდი
27. მექანიკური მუშაობის ერთეული
28. მაუგლის მეგობარი ავაზა
29. ჯარების მართვის ორგანო
30. კავკასიური ფიჭვი
31. ხელის გული თითებიანად
32. აფრიკული ანტილოპა
33. ჩიკოტელას ანტიპოდი
34. ამერიკელთა მეტსახელი
35. სახალხო დამცველი
36. კაბის სიგრძე მუხლამდე
37. სამეგრ. სამთავროს მეორე სახელწოდ.
38. სუფრის ყურძნის ჯიში
39. დიდი თურქული ხმალი
40. სოფელი მესტიის რაიონში
41. ესპერანტოს ვარიანტი
42. მემკვიდრეობის უმცირესი ერთეული
43. პატარა ტყე მინდორში
44. მუსიკალ. გამის III ნოტი
45. ცხენის კუდის ბეწვი
46. ფრანგი მწერალი ალფონს ...
47. ჯუჯა ცხენი
48. სოფელი თუშეთში
49. იგივეა, რაც წლოვანება
50. ბამბუკის დათვი
51. ხოხბის ბარტყი
52. მოგაკდავის დანაბარები
53. დღის მონაკვეთი
54. დეკლასირებული სამურაი
55. იაპონ. ლირიკული პოეზიის ჟანრი
56. არაბული ფლეიტა
57. ბავშვის შესაშინებელი საფრთხობელა
58. „იქ“ – ძველ ქართულში
59. ენაჩლუნგი
60. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
61. მოკლე-ნიჩბიანი სპორტული ნავი
62. ინგლ. მუსიკოსი ... ოსბორნი
63. ჯოჯოხეთის ცეცხლი
64. კედლის სანათი
65. ლოცვის დასკვნითი სიტყვა

ბანანი მავნე ჩვევებს დაეხმარება

სპეციალისტებმა გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც ბანანის საოცარი და სასარგებლო თვისებები გამოავლინეს. ცხადი გახდა, რომ ეს პროდუქტი შეგვიძლია ნებისმიერ დიეტაში ჩავრთოთ, თუმცა მთავარი ისაა, რომ ეს ტროპიკული ხილი ადამიანს ისეთი მავნე ჩვევების დაძლევაში ეხმარება, როგორიც მაგალითად, მოწევაა. ამასთან, იგულისხმება არა მხოლოდ ნიკოტინზე, არამედ მარიხუანაზე დამოკიდებულება. საქმე ისაა, რომ ბანანში ბევრი ტრიფტოფანია და როცა ორგანიზმი მას ითვისებს, წარმოიქმება კინურენის მჟავა. ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს ამ მჟავის შესაძლებლობები და დაასკვნეს, რომ მისი გამოყენება სერიოზული დამოკიდებულების დროს შეიძლება. მერილენდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა შეძლეს დამტკიცება, რომ კინურენის მჟავის ზოგიერთი თვისება გარკვეული გზით მოქმედებს ტვინზე და შეუძლია მარიხუანაზე ადამიანის დამოკიდებულება შეასუსტოს. ლაბორატორიული ცდები მაიმუნებსა და მღრღნელებზე ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ კინურენის მჟავა კანაფში შემავალ იმ ნივთიერებაზე ზემოქმედებს, რაც შეჩვევას იწვევს. სწავლულები მიიჩნევენ, რომ მომავალში სიგარეტზე ან მარიხუანაზე დამოკიდებულებას პრეპარატებით კი არა, სპეციალური დიეტით შეებრძოლებიან, რომელიც ტრიპტოფანით იქნება გამდიდრებული. თუმცა, მკვლევარები მსურველებს აფრთხილებენ, რომ ახლავე ნუ შეუდგებიან ბანანით ან სხვა პროდუქტით მავნე ჩვევებთან ბრძოლას, რადგან კვლევები ჯერ არ დასრულებულა და პირველადი შედეგები დაზუსტებას მოითხოვს.

მარჯვენა ყურით უკეთ გვესმის

იტალიელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ადამიანები უკეთ აღიქვამენ და ამუშავებენ იმ ინფორმაციას, რომელსაც მარჯვენა ყურით ისმენენ. მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მარჯვენა ყურს უკეთ ესმის ლაპარაკი, ადრეც არსებობდა, რაც იმ ფაქტს უკავშირდება, რომ ვერბალური ინფორმაცია თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს მიერ მუშავდება. მკვლევარებმა ამ ჰიპოთეზის შემოწმება გადაწყვიტეს. იტალიელთა კვლევები სამ ეტაპად მიმდინარეობდა: პირველის დროს სწავლულები აკვირდებოდნენ 176 მოხალისის ქმედებას იმ მომენტში, როცა ისინი ცდილობდნენ, თანამოსაუბრისთვის ხმამაღალი მუსიკის ფონზე მოესმინათ. დაკვირვებამ აჩვენა, რომ 72% მოსაუბრისკენ მარჯვენა ყურით ტრიალდებოდა. მეორე ეტაპზე მკვლევარები კლუბის სტუმრებთან მიდიოდნენ, დაბალ ხმაზე ამბობდნენ უაზრო ფრაზებს და აკვირდებოდნენ, რომელი მხრით მიბრუნდებოდა მათკენ მსმენელი. 160-დან 58% მარჯვენა ყურით ბრუნდებოდა. მესამე ეტაპზე კი სწავლულები ადამიანებს სიგარეტს სთხოვდნენ, მაგრამ მათ ხან მარცხენა ყურთან მიმართავდნენ, ხან — მარჯვენასთან. მათ გაცილებით მეტი სიგარეტი მიიღეს, როცა ადამიანები მარჯვენა ყურით ისმენდნენ თხოვნას. მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ის უპირატესობები, რაც ტვინის ფუნქციონალურ ასიმეტრიას უკავშირდება, ყოველდღიურ ურთიერთობებში გამოვლინდება და ადვილი შესამჩნევია.



როგორ გავხდეთ ტკბილეულით

ამ საკითხის გადაჭრა იაპონელმა სწავლულებმა სცადეს. მათ შექმნეს ნივთიერება, რომელიც აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას, აქვეითებს ტკბილეულის კალორიულობას და აიძულებს მათ, ისე იმოქმედონ, როგორც ცხიმისდამწველებმა. ეს ნივთიერება — კაპსაიცინიდან, ცხარე წიწაკის შემადგენელიდან, სპეციალისტებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან გამოყვეს. კაპსაიცინი მრავალმხრივი აღმოჩნდა: ნერვულ-მტკივნეული იმპულსების გადაცემის ბლოკირებით აყუჩებს ტკივილს, აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას და ცხიმის დაწვასაც უწყობს ხელს, ხოლო ნახშირწყლებს ენერგიად გადააქცევს. სწორედ ამ კაპსაიცინიდან გამოყვეს ახალი ნივთიერება დიჰიდროკაპსიატი, რომელსაც არც გემო აქვს და არც სუნი. მას უმატებდნენ დესერტებში, რათა არა მხოლოდ მათი კალორიულობა დაექვეითებინათ, არამედ პროდუქტი „ეიძულებინათ“, ემუშავა როგორც ცხიმდამწველს. დიჰიდროკაპსიატი უკვე იყიდება იაპონიასა და აშშ-ში, როგორც საკვები დანამატი და მისი უსაფრთხოება ბრიტანელმა ექსპერტებმაც აღიარეს.

სუდოკუ ყველანაირი

ადვილი

	3		2			6		4
	6	1		5		3		
					4			7
				1		9		
	4		9		3		8	
		8		4				
5			7					
		6		2		7	9	
2		4			9		6	

სტანდარტი

4	5					7		8
9		8		4				
						5		2
		6			4		3	
			3	9	7			
	3		8			4		
3		1						
				8		9		1
2		9					7	3

რთული

			3					9
	7		4	9			6	
		8			5	4		
	4				3			7
	3			6			2	
2			7				3	
		7	5			8		
	1			4	6		5	
8					1			

ექსპერტი

8		9	6		2		5	
		2		9	4			
1								
5								6
			2	1	8			
3								8
								2
			8	5		1		
	3		7		6	5		4

ასფალტს გეოისგან გაკეთებენ

ნარჩენების რაციონალური გამოყენების პრობლემა დიდი ხანია მეცნიერების კვლევის არეშია. ვაშინგტონის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სწავლულმა, ჰაიფან ვენმა მცენარეული ზეთის უტილიზაციის ორიგინალური მეთოდი წარმოადგინა, რომელიც შესაწვავ ქვაბში რჩება. ის ამტკიცებს, რომ ზეთის ასფალტად გადამუშავების ტექნოლოგია შეიმუშავა. ვენის განცხადებით, მისი მეთოდით ერთი ტონა ასფალტის მიღება 200 დოლარით ნაკლები დაჯდება, ვიდრე ტრადიციული მეთოდით. ფასში ასეთი სხვაობა გზების მშენებლობის ბიუჯეტში მნიშვნელოვან ეკონომიას გასწევს. მაგალითად, აშშ-ში ყოველწლიურად 30 მილიონი ტონა ასფალტი სჭირდებათ. ინოვაციური ასფალტისთვის საჭირო ნედლეულის მოცულობა არ არის ცნობილი, თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამერიკულ რესტორნებში საკმარისი რაოდენობის მცენარეული ზეთი შეგროვდება. საკუთარი გამოგონების კონკურენტუნარიანობა რომ დაამტკიცოს, ვენი ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს: შტატის ერთ-ერთ გზაზე „ბიოასფალტს“ დაასხამენ, მერე კი დააკვირდებიან, რამდენად მდგრადი იქნება ის ჩვეულებრივთან შედარებით.

„მოგონებების სუფრა”

როდესაც ორი ან მეტი ადამიანი ერთ სუფრასთან ხვდება, ამ დროს გარდაუვალია ამბებისა და ისტორიების გაცვლა. ფრანჩესკა ძამპოლომ, ოკლენდის უნივერსიტეტის პედაგოგმა და საკვების დიზაინის საერთაშორისო საზოგადოების დამფუძნებელმა გადაწყვიტა, ადამიანებს გამოცდილების გაცვლის მეტი სტიმული მისცეს თავისი ახალი პროექტით, რომელსაც „მოგონებათა სუფრა“ უწოდა. ეს პოლიესტერისგან დამზადებული მაგიდის ჩვეულებრივი გადასაფარებელია, რომელზეც ბლოკნოტის ფურცლებია გამოსახულია. ამ „ფურცლებზე“, მაგიდასთან მჯდომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, საკუთარი აზრები და იდეები დაწეროს. სუფრას ოთხი მარკერი მოყვება სპეციალური მელნით, რომელიც არ ირეცხება. ფრანჩესკას თქმით, ეს გადასაფარებელი „უტყვი მოწმე“ იქნება იმ ისტორიისა და მოვლენებისა, რომელიც სუფრასთან მოხდება. ის შეგიძლიათ მომავალ თაობას გადასცეთ, როგორც საოჯახო რელიქვია, სუფრა შესანიშნავი აქსესუარი იქნება ახალი წლის ზეიმისა თუ სხვა დღესასწაულებისთვის.

არაჯანსაღი კვება ტვინს ამყრიებს

ადამიანებს, რომლებიც რეგულარულად არაჯანსაღი საკვებით იკვებებიან, ჰიპოკამპის — ტვინის იმ ნაწილის გაცილებით მცირე მოცულობა შეიძლება ქონდეთ, რომელიც სწავლას, მეხსიერებას და ფსიქიკურ ჯანმრთელობას უკავშირდება. ასეთ დასკვნას ავსტრალიელი სწავლულები აკეთებენ. კვლევებისას მათ 60-დან 64 წლამდე ადამიანს სპეციალურად გაუზომეს ჰიპოკამპის მოცულობა, რის შემდეგაც დადგინდა, რომ ადამიანებს, რომელთა რაციონშიც რეგულარულად ჩართულია მავნე პროდუქტი, ტვინის ამ ნაწილის შედარებით მცირე მოცულობა აღენიშნებოდათ იმათთან შედარებით, ვინც სასარგებლო პროდუქტს მიირთმევდა — ბოსტნეულს, ხილს, თევზს. იმის მიუხედავად, რომ კვლევა 60 წელს გადაცილებულ ადამიანებზე ჩატარდა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მიღებული შედეგები აქტუალური შეუძლია იყოს ნებისმიერი ასაკისთვის, მათ შორის ბავშვებისთვისაც. იმის გათვალისწინებით, რომ ჰიპოკამპი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლის პროცესში და ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობასაც უკავშირდება, ეს კვლევა ყველა ასაკში სწორი კვების აუცილებლობაზე მიგვითითებს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	3	4	9	2	8	5	7	6
2	9	8	5	6	7	4	3	1
7	6	5	1	4	3	2	9	8
5	8	7	2	3	6	1	4	9
9	4	6	8	1	5	7	2	3
3	2	1	7	9	4	8	6	5
8	7	3	6	5	2	9	1	4
6	1	2	4	8	9	3	5	7
4	5	9	3	7	1	6	8	2

სტანდარტი

6	2	9	5	1	4	3	8	7
1	8	7	9	6	3	4	5	2
5	4	3	2	8	7	6	1	9
4	3	5	8	2	1	9	7	6
7	6	2	4	5	9	1	3	8
9	1	8	3	7	6	2	4	5
8	9	6	1	4	5	7	2	3
3	5	4	7	9	2	8	6	1
2	7	1	6	3	8	5	9	4

რთული

2	5	6	1	7	4	3	9	8
4	1	9	3	6	8	7	2	5
3	8	7	2	5	9	1	6	4
8	2	5	7	1	6	9	4	3
7	9	4	8	3	5	2	1	6
6	3	1	9	4	2	8	5	7
5	7	8	4	9	1	6	3	2
1	6	3	5	2	7	4	8	9
9	4	2	6	8	3	5	7	1

ექსპერტი

7	5	4	1	3	2	9	6	8
6	9	2	8	7	5	4	3	1
1	8	3	9	6	4	7	5	2
3	2	1	5	9	7	8	4	6
5	6	9	4	8	3	2	1	7
4	7	8	6	2	1	5	9	3
9	4	7	3	1	8	6	2	5
2	3	6	7	5	9	1	8	4
8	1	5	2	4	6	3	7	9

მე-10 გვერდი: 1. პასკალი; 2. ბალისტა; 3. პროპელერი; 4. სესტერციუსი; 5. ანოა; 6. ინია; 7. ბაკმი; 8. ლუესი; 9. სპორა; 10. ავგია; 11. ბოქსიორი; 12. დონ; 13. მეი; 14. ალამდარი; 15. ტრიენალე; 16. ტირი; 17. კრუასანი; 18. გროტესკი; 19. მედეა; 20. იდა; 21. „ლორეალი“; 22. ტიტიკაკა; 23. ინა; 24. მბაბანე; 25. კაიენა; 26. ადა; 27. ბესტიარიუმი; 28. მბაბანე; 29. ბენცი; 30. „ლონდრე“; 31. აარონი; 32. ბანკნოტი; 33. სამოვარი; 34. ბისტი; 35. აული; 36. დარი; 37. ასტამი; 38. ყდა; 39. ნასა; 40. ოსანა; 41. სირ; 42. ნემანი; 43. ლევან; 44. ყბა; 45. პან; 46. კეა; 47. ბიძა; 48. „საბა“; 49. ტირანა; 50. რინგი; 51. სანტა; 52. ალოე; 53. დონა; 54. ტიპო; 55. უატი; 56. ტარო; 57. ეფა; 58. ფრე; 59. დუ; 60. სუნი; 61. ედინბურგი; 62. ალა; 63. კეჩუა; 64. აფსუს.

მე-12 გვერდი: 1. ჰერტრუდა; 2. სეპტეტი; 3. ჰემატოლოგია; 4. რანტიე; 5. რისკი; 6. ერკემალი; 7. ტერაკოტა; 8. ტატო; 9. სტეიკი; 10. ეპილოგი; 11. სუნამო; 12. კარატი; 13. ენოთეკა; 14. ანათემა; 15. ნინო; 16. ელი; 17. კდემამოსილი; 18. მაკე; 19. დეპო; 20. ომალო; 21. თუთა; 22. აგორა; 23. ლოტო; 24. მაგი; 25. ჰაჯი; 26. ადონაი; 27. ახუნდი; 28. მიკადო; 29. მზია; 30. პარისი;’31. ჰიუ ლორი; 32. ჯულიეტა; 33. ბუი; 34. გნუ; 35. ახო; 36. მაიკოპი; 37. ასალი; 38. უოლტ; 39. „ფეოლა“; 40. უოლესი; 41. აგნი; 42. ლიბო; 43. „რიბოკი“; 44. ასფიქსია; 45. ოიმიაკონი; 46. ბაკარა; 47. ლიპსო; 48. ვლტავა; 49. ტირე; 50. აგუნა; 51. აცტეკა; 52. სიამი; 53. სტავრა; 54. ნოდია; 55. ციალა; 56. ლალი; 57. ავანსი; 58. იფი; 59. ილი; 60. უთო; 61. ბრაილი; 62. მასაი; 63. ლიმბი; 64. იმედი; 65. „კავკასია“; 66. ტორი; 67. თასი; 68. ევა; 69. თვე; 70. ექიმი; 71. სია; 72. ემი; 73. ზმნა; 74. ებოლა; 75. ირი; 76. ჯა; 77. ნინელი; 78. სი; 79. დიადემა; 80. „იზა“; 81. ფაუ; 82. აბი; 83. ბუ; 84. სვირი; 85. ვირი; 86. მარსი; 87. ბზა.

სისხლის ჯგუფის შეცვლას შეძლებენ

ნებისმიერი ჯგუფის სისხლიდან უნიკალური ჯგუფის სისხლის მიღებაა შესაძლებელი, — აცხადებენ ფრანგი სპეციალისტები, რომელთაც საამისოდ უნიკალურ მეთოდს მიაგნეს. ეს აღმოჩენა გადაწყვეტს პრობლემას, რომელიც სისხლის დეფიციტს უკავშირდება სამედიცინო დაწესებულებებში. ბოლო დროს სულ უფრო მცირდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც თანახმაა, უფასოდ კი არა, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდაც ჩაბაროს სისხლი. ფრანგმა მეცნიერებმა უკვე ოფიციალურად განაცხადეს, რომ შეუძლიათ მეორე, მესამე და მეოთხე ჯგუფის სისხლი პირველი ჯგუფისად აქციონ. როგორც ცნობილია, პირველი ჯგუფის სისხლის გადასხმა ყველა დანარჩენი ჯგუფის მქონეთათვის შეიძლება. სწავლულები აღნიშნავენ, რომ მეორე და მესამე ჯგუფის სისხლში არის ორი განსხვავებული ტიპის შაქრის მოლეკულა და სწორედ ისინი აფერხებენ ადამიანში იმუნური სისტემის მუშაობას. მეცნიერებმა ისიც გაარკვიეს, რომ მეოთხე ჯგუფის სისხლში ერთდროულად ორი სხვადასხვა ტიპის მოლეკულაა. შესაბამისად, პირველი ჯგუფის სისხლში ანტიგენი ფაქტობრივად, არ არის და ამიტომაც ის გამოყენებადია სხვა დანარჩენი ჯგუფის სისხლთან შეთავსებისთვის. სპეციალისტების შეფასებით, ეს უნიკალური მეთოდი შესაძლებელს გახდის, უამარავი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინონ და მხოლოდ შესაბამისი ჯგუფის სისხლის დეფიციტის გამო არ დაიღუპონ.

1. საფ-რანგეთის ყოფილი ვალუტა
2. გამოძალვა მექარით
3. იაპონიის საერთაშორისო აეროპორტი
4. თაგის კანი თმებიანად
5. მსხვილი ნაწლავის ანთება
6. პროლეტარიატის ბელადი
7. სამი მუსიკალური ბგერის თანაყოლერადობა
8. ფეხბურთის სამშობლო
9. წვრილი სასტამბო შრიფტი
10. დარტანიანის მსახური
11. ჰომეროსის პოემა
12. მუსოლინის სახელი
13. იანვრის ძველქართული სახელწოდება
14. ქვეყნის ნაწილი
15. იგივეა, რაც მუშა
16. ხის ჩასაბერი საკრავი
17. საკონდიტრო ნაწარმი
18. ღვინისფერი, შინდისფერი
19. პაპირუსის ქართული შესატყვისი
20. ფრიდონის სატახტო ქალაქი („ვეფხისტყ.“)
21. ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვა
22. პუერტორიკოელი ოსკაროსანი მსახიობი
23. საფრანგეთის ცნობილი კარდინალი
24. რომის ერთ-ერთი ბორცვი
25. ტრაგედიის მუზა
26. სამი მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
27. მამაკაცის ვარცხნილობის ტიპი
28. შარდის გამომყოფი ორგანო
29. ხეშეშ-ფრთიანი მწერი
30. ქაღალდის საზ. ერთეული
31. ქრისტეს გამყიდველი
32. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი
33. თეთრი ნიშანი ხარის შუბლზე
34. ბალტიის-პირეთის ქვეყანა
35. იგივეა, რაც გაზი
36. თურქი მომთაბარე ტომების ბანაკი
37. მდინარე სანკტ-პეტერბურგში
38. ცნობილი ქართველი მოჭიდავე
39. რუსი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი
40. ყატარის დედაქალაქი
41. ნამდვილად არსებული ნივთი
42. ეკლიანი ბალახი
43. ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
44. ორად გაყოფილი ქვეყანა აზიაში
45. საქონლის მოსათავსებელი ჭურჭელი
46. ოქროს ურდოს სარდალი
47. გემის მზარეული
48. შენობის სახურავი მასალ.
49. იუდეველთა მეფე
50. პედაგოგიკის ნაწილი
51. თევზსაჭერი მოწყობილობა
52. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული სხივი
53. იტალიელი კინოვარსკვლავი ორნელა ...
54. იაპონური მაფია
55. პირველი ქართველი ქრისტიანი დედოფალი
56. გენიალური ესპანელი არქიტექტორი
57. დეკორატიული ყვავილი
58. მკვახე ყურძენი
59. მოსკოვის ერთ-ერთი მდინარე
60. ხორვატიის კუთვნილი კუნძული
61. ქალაქი თურქეთში
62. დათა თუთაშხიას დის სახელი
63. ველური ვარდი
64. მაუგლის მეგობარი პითონი
65. იგივეა, რაც ოპიუმი
66. „ციური“ ყვავილი
67. უმც. სამნიშნა რიცხვი
68. თუთიყუშის ჯიში
69. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
70. რაჭის უდიდესი ქალაქი
71. რუსეთის საინფორმაციო სააგენტო
72. თონეში ჩავარდნილი პური
73. მიწისძვრის ინტენსივობის საზომი ერთეული
74. სოფელი სენაკის რაიონში
75. დიდი კინოფილმის ნაწილი
76. ცალთვალა გოლიათი
77. ჰამალი კვიცი
78. საბანკო შეტყობინება
79. დიდი შხამიანი გომბეშო
80. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
81. მონარქიული ქვეყნების გაერთიანება
82. კრემიანი ნამცხვარი
83. მსახიობი ... კილმერი
84. „დაწიე, დაუშვი!“ დოკერების სლენგზე
85. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ტაოში
86. მზის შუქი, რაიმეზე დამდგარი
87. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა

მომავლის კომპიუტერი შექმნეს

ჩინეთში მომავლის სუპერკომპიუტერი შექმნეს. მისი ვტორები ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის ატმოსფეროს ფიზიკის სპეციალისტები არიან. კომპიუტერი ზომით ორსართულიან შენობას უტოლდება. მას შეუძლია ატმოსფერული პროცესების იმიტირება და ჩვენი პლანეტის მომავლის გამოთვლა. მაგალითად, ამ სუპერკომპიუტერის დახმარებით, შესაძლებელია ოკეანის დინებების სიძლიერის, ბიოსისტემის განვითარების მიმართულების პროგნოზირება. გარდა ამისა, მას შეუძლია გამოთვალოს ზოგიერთი კოსმოსური პროცესიც. ცვლილებების პროგნოზირებისთვის, რომელიც დედამიწაზე ექვსი წლის შემდეგ მოხდება, სუპერკომპიუტერს მხოლოდ ერთი დღე დასჭირდება.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲚᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 3222942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.